აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს

დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 აპრილი, 2013 წელი.

№73 (7200)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

2007 წლის 7 ნოემბერი



2011 წლის 26 მაისი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფიქრები ხმამაღლა

ბოლოს მაინც მოგიწევთ „ბუტკაში“ შესვლა!

ერთი ვაი-უშველებელი აქვთ ატეხილი გნაცმოძრაობელთა ბოსებსა და მათ მხარდამჭერ „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტებსა თუ „მიუკერძოებელ“ არასამთავრობოებს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით შესაძლო გამოძიების დაწყების გამო.

ეს იმ გნიასს მაგონებს, ამას წინათაც რომ ჰქონდათ მათ ატეხილი რაბათის ციხესთან დაკავშირებით — მთავრობა მის დანგრევას აპირებსო! არადა, დანგრევას არავინ ცდილობდა, ლაპარაკი იყო მხოლოდ გუმბათის სხვა ფერად შეღებვაზე.

არც ეს შესაძლო გამოძიება ისახავს მიზნად ომის დამწყების ვინაობის გარკვევას — **ანკი რა საჭიროა ღია კარის მტვრევა, როდესაც ყველასთვის ისედაც ნათელია, ვისი ჯარები შევიდა ვის ტერიტორიაზე?**

მაგრამ სულ სხვა საკითხია ამ ომისთვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი დამნაშავეებისა და მათი დანაშაულობების დადგენა, რასაც ისახავს ეს გამოძიება მიზნად.

სწორედ ეს აშფოთებთ და აშინებთ მავანთ, რომელთა კონკრეტული შეცდომა-გადაცდომა-დანაშაულობები ასევე კონკრეტული ბრალდება-მტკიცებულებებით დადგინდება და დამტკიცდება.

უამრავი რამ არის გამოსარკვევი და ჯეროვნად შესაფასებელი.

მაგალითად, რატომ არ გახიზნეს ომის დაწყების რეალური საფრთხის დადგომამდე კონფლიქტის ზონიდან მშვიდობიანი მოსახლეობა, თუნდაც, ქალები და ბავშვები, ისევე როგორც ეს გააკეთეს ოსებმა ცხინვალში?

რატომ არ გაიტანეს და ალაფად რად დაუტოვეს მოწინააღმდეგეს აბსოლუტურად დაუცველი სამხედრო ბაზების დიდძალი შეიარაღება და ტექნიკა?

რამდენად მისაღებია ჩვენი ცალკეული „სტრატეგოსების“ „თავის მართლება“ ომის შემდეგ — არ გვეგონა, მოწინააღმდეგე თვითმფრინავებს თუ გამოიყენებდაო (?!)!! **აბა, რა ეგონათ, მოწინააღმდეგე ვერტმფრენიდან ხინკალსა და ხაშლამას გადმოგვაყრიდა?**

თანაც განა მარტო სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული ადამიანების ბრალეულობაა დასადგენი: — არც „სამოქალაქო პირებს“ დაუკლიათ ხელი.

მარტო თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომელიც გუშინ მოვისმინეთ დილის „კურიერში“ **ქუთაისში „აღმოჩენილი“ კიდევ ერთი საწყობის შესახებ,** რომელშიც სწორედ ამ ომის გამო ლტოლვილებად ქცეული ადამიანებისთვის საქართველოს საზღვარგარეთელი მეგობარ-გულშემატკივრების მიერ გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგე თუ სხვა რამ იყო ჩარაზული?

შარშან, გეხსომებათ, ერთი ასეთი საწყობი თბილისში აღმოაჩინეს, რომელშიც სამ მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქტი იყო გაფუჭებული. წლეულს გორშიც მიაგნეს მორიგ ასეთ ჩარაზულ საწყობს.

რა ხდება, ხალხო? ჩვენი საცოდაობით შეწუხებული ადამიანები საზღვარგარეთიდან დახმარებას გვიგზავნიდნენ ლტოლვილთათვის, ჩვენ კი, იმის ნაცვლად, რომ იგი დევნილებისთვის გაგვენაწილებინა, საწყობებში ვაფუჭებდით?

რა არის ეს? საბოტაჟი, მავნებლობა, თანამოქალაქეთა ბედის ფეხებზე დაკიდება თუ უამრავი სხვა უკეთურება ერთად?

არ უნდა მოეკითხოთ ამისთვის პასუხი სათანადო პასუხისმგებელ პირებს, თუნდაც ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელ მინისტრს, ახლა რომ დეპუტატის საავარძელში ჩაფუმფულებულა?

ანდა ზნეობრივი პასუხისმგებლობა მაინც არ უნდა დაეკისროს აგვისტოს ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალებული, თუნდაც, შიდა ქართლის იმდროინდელ გუბერნატორს ლადო ვარძელაშვილს, რომელმაც ამ კატასტროფიდან ორიოდ თვეში თავისი განკარგულებით დაინიშნა ყოველთვიური სამი ათასლარიანი პრემია და მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის ყოველთვიური ათასი ლარი (ჩვენი გაზეთი ამაზე წერდა)? ბენზინსა და სხვა „წვრილმანებზე“ არაფერს ვამბობ.

და მარტო მას კი არა, მთელ მაშინდელ მთავრობას არ უნდა დაეკისროს, თუნდაც, ზნეობრივი პასუხისმგებლობა **იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის თავკაცობით, რომელმაც, სხვათა შორის, ორასი ათას ლარზე მეტი პრემია შეიტყაპუნა ერთჯერადად?**

აი, ასეთი დამნაშავეების დადგენაც უნდა იყოს იმ გამოძიების მთავარი მიზანი!

ერთი კია: არა მგონია, ასეთებს გამომზეურებისაც შერცხვეთ და ამის მერე მაინც მიატოვონ ბრექა-ყელყელაობა, რადგან ის ძარღვი აქვთ შუბლზე გაწყვეტილი, რომელიც თუნდაც ზოგჯერ გაწითლების უნარს მაინც უნარჩუნებს მათნაირ არსებებს, მაგრამ...

თუმცა ერთი კია: რამდენიც არ უნდა აპროტესტოთ და შეეწინააღმდეგოთ, გნაცმოძრაობელებო, გამოძიების დაწყებას და მასთან თანამშრომლობას, ვანო ჯავახიშვილისა არ იყოს, ბოლოს მაინც მოგიწევთ „ბუტკაში“ შესვლა!

რაღაა იგი სიმბოლო...

ვინც სიმბოლოებს ვერ არჩევს! — ალბათ, ასე უნდა დამთავრებულიყო ეს ქვესათაური, მაგრამ ბევრი სხვა რამეც როდის გაურჩევია, განუსჯია თუ ულაპარაკია ჯეროვნად სიმბოლოს? მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთ ამას, დიეტური კვერცხივით ვადაგასულ და, ამდენად, მავნებლად ქცეულ პრეზიდენტზე.

— აღლუმი ქვეყნის სიმბოლოა, — თქვა ნინო შუბლაძის „პოზიციის“ სტუდიაში სტუმრობისას.

რა მოხდა მერე, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ლაპარაკში რამე შეეშალოს, მაგრამ არა პრეზიდენტს, თუნდაც ვადაგასულს და ამ ტიტულის მაქინაციებით მიმთვისებელს, რომლის საქციელი თუ ნათქვამი, როგორც წესი, ყველგან და ყოველთვის აწონ-დაწონილი და ყველასათვის ყოველმხრივ მისაღები უნდა იყოს.

ამიტომაც შევახსენებ, რომ ქვეყნის სიმბოლო აღლუმი კი არა, დროშა, გერბი, ჰიმნი და პრეზიდენტია!

სწორედ ის პრეზიდენტი, რომელზეც, როგორც იტყვიან, ზედგამოჭრილი უნდა იყოს „დათა თუთაშხიაში“ ნათქვამი — **მუდამ გახსოვდეს, რომ შენს ქვეყანაში შენი ოჯახის დესპანი ხარ, საზღვარგარეთ კი — შენი ქვეყნისაო.**

შინ თავისი ოჯახის როგორი დესპანიცაა, ეს ვიცით და როგორმე ავიტანთ, მაგრამ, აი, საზღვარგარეთ!..

ადრინდელზე რომც არაფერი ვთქვათ, მარტო ბოლოდროინდელი ანტალიური ველოსკანდალის ამბავი რად ღირს.

არავითარი მანქანა არ დამჯახებიაო, „სიმბოლომ“, უბრალოდ, სოფლის შარაზე ორმოში ჩავვარდიო, თქვა „პოზიციაში“ სტუმრობისას.

დავუშვათ, ასეც იყო და ტყუილი დაწერა თურქულმა მედიასაშუალებამ haberturk.com, დავუშვათ, არც იმ თურქული ტრაილერის მძღოლი უმით ოქური ყოფილა, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა „სიმბოლო“, მაგრამ გვჭირდება კი საზღვარგარეთ ასეთი „დესპანი?“

თუ მაინცდამაინც, თუნდაც ახლა, როდესაც მას, როგორც პრეზიდენტს, „კოჭლი ხვის“ ხანა დაუდგა, ნუ ივლის საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის არცთუ სასახელოდ, შინ კი, ჯანდაბას, იფაფხუროს, ავიტანოთ როგორმე!

თუმცა „საშინაოდაც“ უნდა შევახსენო ის, რაც ადრეც რამდენჯერმე მითქვამს მისთვის (გამეორება ცოდნის დედაა!) ჩვენი გაზეთით: **კბილებს მარტოოდენ საჭმლის თქვლეფისას ლუკმის დაქუცმაცების ფუნქცია კი არა აქვს, არამედ ისიც ევალება** (ყოველ შემთხვევაში, უნდა ევალებოდეს!), **რომ, ვიდრე ადამიანი რაიმე სისულელეს დაახეთქებდეს, ისინი ენას დააჭიროს, რომ ნაბოდიალები ყველამ არ გაიგოს!**

კბილების ეს „ნავაროტკა“ რომ გამოეყენებინა, იტყოდა „დესპანი“ „პოზიციის“ სტუდიაში თუნდაც იმას, რაც 2008 წლის აგვისტოში ამერიკელების მიერ თურმე როკის გვირაბის დაბომბვის შესაძლებლობის თაობაზე თქვა?

მართლაც, რაღაა იგი სიმბოლო! გინდაც „დესპანი!!“

ზეწოლა იცით, როდის იყო, ბატონებო?

ხელებს გადაგრეხვაო, სახსრებში დაშლაო, დაშინება-დაშანტაჟებაო, ზეწოლაო და, რა ვიცი, რა შედარება-განსაზღვრებებს არ იყენებენ საპარლამენტო უმცირესობის (იგულისხმეთ — უმწირესობის) წარმომადგენლები, როდესაც ცდილობენ, ამით გაამართლონ თავიანთ რიგებში დაწყებული რღვევა — ოცნების ხალხი იყენებს ამ მეთოდებს მათს დასაშინებლადო.

ასე იყო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ მარიკა ვერულაშვილის გასვლასთან დაკავშირებითაც.

არ ვიცი, ვინ რას გულისხმობდა ამ ზეწოლასა თუ ქვეწოლაში, მაგრამ ოცნებელთა მხრიდან არავითარი ძალდატანება რომ არ ყოფილა, ეს თავად ქალბატონმა მარიკამ აღიარა ოფიციალურად.

და სწორედ ამის გათვალისწინებით ვიტყვი: მარიკა ვერულაშვილზე რეალური ზეწოლა იცით, როდის იყო, ბატონებო?

როდის და მაშინ, **გნაცმოძრაობის ზეობისას,** როდესაც, თუ „ავენებს“ დავუჯერებთ, **ქალბატონი მარიკას ბიზნესმენი მეუღლე დაუკავებიათ და გათავისუფლების სანაცვლოდ კარგადაც „გაუპარსავთ“.**

აი, ამიტომაც დაგტოვათ მარიკა ვერულაშვილმა, რომელმაც სახალხოდ თქვა, **იმ პარტიაში, რომლის გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილი დაინიშნა, ვერ დავრჩებოდიო.**

აი, ეს არის სიმართლე.

რუსლან რუსია

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● დებილები რო ხართ, ენდე! რას ინახავდით მაგ ქვითრებს? მეუღლეს პურზე რომ ვაგზავნი, იმის ჩეკსაც აგდებს:!!!

● მიშას ეგონა ჩეკების გათამაშება ჯერ არ დამთავრებულაო და იმიტომ ინახავდა !!!!

● მოკლედ 19 აპრილს რუსთაველზე დაგეგმილი გრანდიოზული მიტინგი გადაიდო. ვანოს ლოჯშიც კაათ დავეტევით, არ გვინდა ეს პომპეზურობაო.

● ზურაბ ადეიშვილი: მე გულდაწყვეტილი ვარ პრეზიდენტის დღევანდელი განცხადებით, რომ თითქოს დათა ახალაიას არ იცნობდა. შეიძლება ჩემზეც განაცხადო, არ ვიცნობო. ისე გამოვიდა, თითქოს ყველაფერი ცუდი რაც ხდებოდა 9 წლის განმავლობაში ჩემი და ძმებ ახალაიების ბრალი ყოფილა. ყველამ ხელები შეგვახოცა.

● 6-საათიან კურიერში ჩიორა გააკეთებს „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების განცხადებას. — ბებიათქვენისამ, მე კუშეტკაზე ვიკოტრიალო და ძვირფასეულობა საჯაიას ჩუქნოთო?!

სარკოფაგიდან დგება ვანუა, რა სიჩუმეა. . . . . .

● სიურეალისტური 19 აპრილი.

● „ნაციონალური მოძრაობისგან“ დემონსტრაციულად გამიჯვნა როგორ მაგონებს მოქალაქეთა კავშირიდან „რეფორმატორთა“ წამოსვლას. ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს :!!!!!!!!

● არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლებრივი გამჭვირვალობა“ 19 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ აქციას შეურთდება.

● ნუუუ, ახლა, ძაან გამჭვირვალედაც ნუ იზამთ, ლეღვი გაიფოთლა, ვგონებ . . .

● ეთქვათ, ეს ოხერი, და იმისთანა პროცედურებს გამოვუწერდით, ძვალი და ტყავი დარჩებოდნენ, სათუთები!!. თან უფასოდ!

● ზოგიერთი, ის კი არადა, იქეთ გადაიხდიდა ფულს, მაგ პროცედურებში მონაწილეობისათვის!!! „მიშა/გიგი იყოს და, მოხალისე ბაღდადიდან მოვაო“, ხომ გაგიგონიათ :!!!!

● ყველაფერს ფულით ვერ იყიდი, დანარჩენისთვის არსებობს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური...

● პარიზი-ელვა !!!აკადემიკოს დიშელს!

ძვირფასო კოლეგავ და მასწავლებელო!

ნაცმაცუნებმა განაცხადეს რომ 19 აპრილს ჩაატარებენ გრანდიოზულ მიტინგს. იდეის გარდაუვალი კრახი გამოიწვევს კოლექტიურ შოკს! ვინაიდან ქვეყანაში ოყნების მწვავე დეფიციტია, მობილიზებულია ბროწეულის წვენით გაძეძგილი „პაჟარნი კამანდები“ და აბი გლუკოზა!!

პატივისცემით ნოშრევან კუჭუხიდზეი!!!

გია გაბრიჭიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

საძართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ამერიკელი მრჩეველის ჯეფრი სილმერვანის მტკიცებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში არსებული მტკიცებულებები განადგურებულია. ჯეფრი სილვერმანის განცხადებით, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები იყვნენ ჩამოსულები. მისივე თქმით, ის ამერიკაში ესაუბრა ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც უთხრა, ვინ გაანადგურა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში მტკიცებულებები.

კერძოდ, პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ამბობს, რომ აგენტმა ბრაიან პარმენმა აშშ-ის იმუამინდელი ხელმძღვანელობის მითითებით, ზურაბ ჟვანიას საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები გაანადგურა. რადგან მკვლელობის რეალური მიზეზი თუ გამოიკვეთებოდა, მაშინ მიხეილ სააკაშვილის იმიჯი შეილახებოდა, რაც ამერიკის პოლიტიკას დარტყმას მიაყენებდა.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში for.ge-ს განუცხადეს, რომ პრემიერის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ყველა საინტერესო მოწმე იქნება დაკითხული. რას ფიქრობს ჯეფრი სილვერმანის განცხადებაზე და რა კითხვები აქვს თემურ ალასანიასთან? ამ საკითხთან დაკავშირებით for.ge საქართველოს პარლამენტის წევრს, ყოფილი პრემიერის ძმას გიორგი ჟვანიას ესაუბრა.

რასაც სააკაშვილი ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით ამბობს, ცინიზმი და უზნეობაა

ჟვანიას საქმეში ახალი მტკიცებულება გამოიკვეთა

— ეს არის პროკურატურის გამოსაკვლევი. არაერთხელ მისაუბრია, რომ ზურას საქმე გააყალბეს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა დეტალურად ვერ ვისაუბრებ ყველაფერზე, თუმცა, შეკითხვები ჩნდება ფედერალური ბიუროს დასკვნასთან დაკავშირებით.

დასახელდა კონკრეტული პიროვნება, რომელმაც უშუალოდ გაანადგურა საქმეში არსებული მტკიცებულება, იმისათვის, რომ აშშ-ში არ შელახულიყო მიხეილ სააკაშვილის იმიჯი...

— ფედერალური ბიუროს დასკვნითი ნაწილი ეწინააღმდეგება საქმის დანარჩენ შინაარსს. ეს უკვე თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ ადამიანები, რომლებიც ამ დასკვნაზე მუშაობდნენ, კეთილსინდისიერად არ მოეკიდნენ ამ დასკვნას. ფედერალური ბიუროს ექსპერიმენტული ნაწილი, ცალსახად ღაღადებდა, რომ იმ ბინაში არანაირი სასიკვდილო გარემო არ არსებობდა. თუმცა, დასკვნით ნაწილში ეთანხმებიან ოფიციალურ ვერსიას, რაც სრულიად ურთიერთგამომრიცხავია.

— რაც შეეხება გამოძიებას, მინდა, გითხრათ, რომ გამოძიება შესულია ძალიან ინტენსიურ ფაზაში, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები ჩანს. რაც შეეხება ამ კონკრეტული ადამიანის განცხადებას, ბუნებრივია, ამ საკითხს შეისწავლიან. ძალიან სერიოზული განცხადება გააკეთა ამ პიროვნებამ. ამ ადამიანის სახელი და გვარი ნამდვილად სიახლეა ჩემთვის.

— გამოძიების მხრიდან თუ გამოიკვეთა ახალი დეტალები?

— შემიძლია გითხრათ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალებია ამ საქმეში გამოკვეთილი. არ შემიძლია დეტალებზე საუბარი, მაგრამ გეტყვით, რომ პრემიერ-მინისტრის მკვლელობის საქმე ძალიან მალე გაიხსნება და ყველა გაიგებს სიმართლეს. ინტენსიურად ვითანამშრომლებ გამოძიებასთან. გამოძიება მიდის სწორი გზით.

— ბატონო გოგლა, იკვეთება პრეზიდენტის ბრალეულობა?

— კონკრეტულ პერსონებს რაც შეეხება, პასუხს მივიღებთ მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდება. მე პირადად არაერთხელ მითქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილი პირადად მონაწილეობდა ამ საქმის მასალების გაყალბებაში. მათ შორის, — ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, ისინი აყალბებდნენ ამ საქმის მასალებს. რატომ ხდებოდა ეს, ამას უკვე გამოძიება გასცემს პასუხს.

— თქვენ ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს ადანაშაულებდით საქმის მასალების გაყალბებაში...

— დიახ, ეს ადამიანები აყალბებდნენ ამ საქმეს. გამოძიებას აწარმოებდა ადეიშვილის უწყება. არაერთი სიყალბე აქვს ჩადენილი. ყოველთვის ვსაუბრობდი იმ ფაქტობრივი მასალებიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენთვის იყო ხელმისაწვდომი.

— რაც შეეხება პრეზიდენტის ბიძას თემურ ალასანიას, ოჯახი საუბრობდა, რომ პრემიერის გარდაცვალების საქმეში იკვეთებოდა მისი კვალი. დღეს რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— შემიძლია, ჯერჯერობით, გითხრათ ერთი რამ, რომ თემურ ალასანიასთან დაკავშირებით კითხვები არსებობს.

— მტკიცებულების განადგურებაში, შესაძლოა, თემურ ალასანიას კვალი იკვეთებოდეს? ის საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა აშშ-ში...

— იმ წლებში სააკაშვილსაც ჰქონდა დიდი გავლენა. ამერიკის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან ჰქონდა პირდაპირი კავშირი, ყოველგვარი შუამავლების გარეშე.

— სააკაშვილი ამბობს, რომ პრემიერი იყო მისი უახლესი მეგობარი და ძალიან დაზარალდა მისი ხელისუფლება პრემიერის გარდაცვალებით...

— სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც სიმართლეს საერთოდ არ ამბობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანს სიმართლის ლაპარაკის უნარი საერთოდ არ შესწევს. რასაც ის ზურასთან დაკავშირებით ამბობს, ეს საერთოდ ცინიზმი და უზნეობაა.

თამთა ძარჩავა

წერილი რედაქციას

მწერლების სოლიდარობა — ქართულ გამომცემლობებს

მივესალმებით **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შესახებ. თუმცა, სამწუხაროდ, ის გზა, რომელიც სამინისტრომ აირჩია სოციალური სამართლიანობისა და განათლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, შეიცავს დიდ საფრთხეებს, ხელყოფს ავტორებისა და გამომცემლობების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და არღვევს საქართველო კონსტიტუციის 23-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“.**

თუ ასე ხელაღებით და თვითნებურად განხორციელდა ეს ინიციატივა, ჩვენ ვშიშობთ, რომ განვითარებას შეწყვეტს ქართული სახელმძღვანელოების შექმნის კულტურა, რომელიც ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა და მეტიც — ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს გამომცემლობების დახურვას, რადგან ისინი ვეღარ შეძლებენ სხვა სახის ლიტერატურული პროდუქტის შექმნას, რომელთა გამოცემაც პირდაპირ უკავშირდება სახელმძღვანელოებიდან შემოსულ თანხებს. ასევე დაზარალდებიან არა მხოლოდ გამომცემლები და სახელმძღვანელოების ავტორები, არამედ უამრავი ადამიანი დარჩება სამსახურის გარეშე. უკვე გაჩერებულია რამდენიმე სტამბა, ახლო მომავალში კი მოსალოდნელია დაიხუროს წიგნის მაღაზიებიც.

რაც არ უნდა კეთილი განზრახვა ამოძრავებდეს ვინმეს, ჩვენთვის მიუღებელია, თუნდაც ერთი მოქალაქის ინტერესებისა და უფლებების დარღვევის ხარჯზე მიღებული გადაწყვეტილება.

გვსურს, მივმართოთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, დაფიქრდეს როგორი მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და რა დიდ როლს ასრულებენ დამოუკიდებელი გამომცემლები საქართველოს განათლების, ზოგადად კულტურისა და კონკრეტულად მწერლობისთვის. ვთხოვთ მინისტრს, კიდევ ერთხელ გადახედოს აღნიშნულ საკითხს და ყველა პრობლემა გადაწყდეს დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკების გზით.

თამაზ ჭილაძე, გესიკ ხარანაული, ტარიელ ჭანტურია, ბაჩანა ბრეგვაძე, როსტომ ჩხეიძე, გივი შაჰნაზარი, მაკა ჯოხაძე, რეზო კვესელავა, ლევან ბრეგაძე, გენო კალანდია, გიორგი ლოგუანიძე, ირაკლი სამსონაძე, ლერი ალიმონაკი, მერი ტიტვინიძე, ნანა გოგოლაშვილი, დიანა ანფიმიადი, ირაკლი კაკაბაძე, სალომე გენიძე, ნინო სადღოგელაშვილი.

რედაქციისგან: ბუნებრივია, ეს საკითხი საზოგადოებრივ განხილვას ექვემდებარება. ყველა დაინტერესებულ პირთაგან სამსჯელოა. ამიტომ რედაქცია იმედოვნებს, რომ სანამ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდეს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მიუკერძოებელი განხილვა-მსჯელობა გაიმართება. რა თქმა უნდა, ყველა საკითხი ისე უნდა გადაიჭრას, ძირითადად წაგებული არავინ არ უნდა დარჩეს, უფრო სწორად, ერთის წაგების ხარჯზე მეორე მოგებული არ უნდა აღმოჩნდეს. მაგრამ, რადგან საქმე ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ეხება, ცხადია, ამ მეტად მგრძნობიარე საკითხს ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი, რომელთაც ველური კაპიტალიზმის პირობებში მაინცდამაინც დალხენილი ცხოვრება არ გვიხდება, მეტი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ.

ჩვენი გაზეთი მზად არის, რომ ყველას დაუთმოს თავისი ფურცლები, ვინც უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებზე აზრის გამოთქმას ისურვებს.

ისე, ცხადია, ყოველივე ეს ჩვენი კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული.

აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

2007 წლის 7 ნოემბერი

2011 წლის 26 მაისი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კითხვა, რომელიც ყველას თავში უტრიალებს

ეს ხელისუფლება მართლა ფრთხილობს თუ მართლა „ბუქსაობს“?

კარგა ხნის** შესვენების შემდეგ, გადავწყვიტე კვლავ გავსაუბრებოდი ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს ანზორ ბაბუხადიას, რომელთანაც 30-წლიანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. იგი ბევრი სხვა მოღვაწისაგან იმით გამოირჩევა, რომ თავად ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც კი ახერხებდა ყოფილიყო პრინციპული, მწვავე სიმართლე მიუკიბ-მოუკიბავად, რომ იტყვიან, „პირში ეთქვა“ თავისი კოლეგებისათვის, ანუ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებისათვის. ახლაც მახსოვს, ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს, მთავრობის სხდომაზე კადრების შერჩევის საქმეში დაშვებული შეცდომების შესახებ რომ უსაყვედურა და ნათქვამში ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, წინ კონკრეტული ფაქტებიც დაუდო. სწორედ მისმა ასეთმა პირდაპირობამ და ობიექტურობამ გადამაწყვეტინა ბატონ ანზორისთვის ქვეყნის ცხოვრების აქტუალობიდან გამომდინარე რამდენიმე შეკითხვით მიმემართა.

— ბატონო ანზორ, რა დასამალია, ახალი ხელისუფლება, რომელიც ხმაურიანი და ამბიციური დაპირებებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, თანდათან სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში, კვლავ გაჩნდა ნიჰილისტური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ან ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამათგან ყველაზე აქტუალურია დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გაწელვა, ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულობებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების ლიდერების დაუსჯელობა. ამის გამო საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი უკმაყოფილებას ვეღარც კი მალავს: რას ელოლიავებიან ამ ნაძირალებს, 5-6 თავგასული „ფიგურისთვის“ მაშინვე ამოერტყათ პანჩური, შეეყარათ სადაც ჯერ არს და დანარჩენებიც ისწავლიდნენ ჭკუასო. დავიწყოთ ამ თემით და დანარჩენს „საქმე გვიჩვენებს“

— გეტყვით პირდაპირ, კადრების შერჩევაში, უცოდველი, სხვებთან ერთად, არც ეს ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა. დეტალებზე საუბრის დრო და ადგილი, ალბათ, არ გვექნება, რადგან ისეთი ფართომასშტაბიანი შეკითხვა დასვით, რომ არც ვიცი რითი დავიწყო. ერთ რამეს მოჭრით გეტყვით, ჩვენი დღევანდელი „თევზის თავი“ ჯანმრთელია და რუსულ ნათქვამს თუ გამოვიყენებთ, მისი აყროლება-აქოთების წინაპირობა არ არსებობს(!).

— თუ ასეა, მაშინ იქნებ აგვიხსნათ, ხელისუფლება რატომ „ბუქსაობს“?

— საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში მარტო მისი პირველი პირები არ იგულისხმებიან. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს უზარმაზარ სახელმწიფო აპარატთან, რომელიც ისეა დაავადებული, რომ მის განკურნებას სერიოზული სისტემური „მკურნალობა“ სჭირდება. არ გაგიკვირდეთ თუ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით, ძველი, საბჭოური სახელმწიფო აპარატის გამოცდილებიდან ზოგი დადებითი მომენტის გათვალისწინება არ გვაწყენდა. მე პირადად დანაშაულად მეჩვენება სახელმწიფო დაწესებულებაში მოსახლეობის მიღების ინსტიტუტის გაუქმება, მათი შენიშვნებისა და წინადადებების იგნორირება, ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში გაუგონარი გაძლიერებული დაცვის აპარატისა და საშვების სისტემის შემოღება და ა. შ.

— დარწმუნებული ვარ, ასეთ დასკვნებს არ გააკეთებდით, ხელთ სერიოზული კონკრეტული მაგალითები რომ არ გქონდეთ.

— რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობაში იმდენ კონკრეტულ, ამაზრზენ ფაქტს ვაწყდებით, რომ მათი ჩამოთვლა, ალბათ, შეუძლებელია. ჩემი შეხედულებით, კოალიციაში გამორჩეული პერსონებიც არიან, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მაგრამ იმავე პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს აპარატის ცალკეული სამსახურები და მუშაკები, მოვალეობის შესრულებისას, ნებსით თუ უნებლიეთ, ისეთ უხეშ შეცდომებს უშვებენ, რომ მათზე დეტალურ საუბარს და საქვეყნოდ თავის მოჭრას, პირველ რიგში საკუთარ თავს არ ვკადრებ. ალბათ, კიდევ მომეცემა დასახელებულ ხელმძღვანელებთან პირისპირ შეხვედრის საშულება და ამ დეტალებზე პირადად ჩავაყენებ საქმის კურსში, როგორც ბატონ დავითს, ისე ქალბატონ თეასაც.

— ბატონო ანზორ, ალბათ, შეამჩნევდით, ბოლო პერიოდში საზოგადოების ერთ ნაწილში აშკარად გამოიკვეთა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება „რესპუბლიკური პარტიისადმი“, რასაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს. მით უმეტეს, რომ ამ პარტიის თავმჯდომარე თქვენგან მოწონებული საქართველოს პარლამენტის სპიკერია.

— ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ პარტიისა თუ ინსტიტუტისადმი, მაგრამ ერთი ხელის მოსმით, ყველასათვის ერთი და იგივე „რეცეპტის“ გამოწერა არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია გამართლებულად. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი, როცა ერთ-ერთმა „გამორჩეულმა“ პიროვნებამ, ცნობილი ჟურნალის ფურცლებიდან საქვეყნოდ განაცხადა, რომ „საერთოდ ვერ იტანს ჩოხოსნებს“. მეორე დღესვე რა პასუხიც გავეცი იმ არაკაცს, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ეს ქვეყანამ გაიგო და, რა თქმა უნდა, ამაზე ახლა აღარ შევჩერდები.

— ჩვენს ამ მოკლე საუბარში, რომ იტყვიან, სტრიქონებს შორის გამოიკვეთა თქვენი სიმპათიები პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარის მისამართით. მიუკერძოებლად თუ განვსჯით, პირადად მისდამი იგივე დამოკიდებულება გააჩნია დღევანდელ საღად მოაზროვნე საზოგადოების დიდ ნაწილს და პირადად მეც, თუმცა მეჩვენება, რომ იგი საკვანძო საკითხების გადაწყვეტისას ზომაზე მეტად ფრთხილობს და ამით საერთო საქვეყნო საქმე როგორღაც ზარალდება.

— გეთანხმებით, გარედან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ რეალურად, ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ ასეა საჭირო. მქონდა პატივი, ამ რამდენიმე დღის წინათ საზოგადოების რჩეულ წევრთა ვიწრო ჯგუფთან ერთად, თავის სამუშაო კაბინეტში, პირადად შევხვედროდი ბატონ დავით უსუფაშვილს. შეხვედრაზე (დახურული ფორმატით), რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყელა მტკივნეულ პრობლემას. არც უფლება მაქვს და არც საშუალება, დეტალურად გაგაცნოთ ჩვენი საუბრის ყველა თემა, თუმცა, მოკლედ გეტყვით, რომ ასეთი გაწონასწროებული, საღად მოაზროვნე, საქმეში ღრმად ჩახედული პიროვნება იშვიათად შემხვედრია. აქედან გამომდინარე, მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა მაიძულებს და მავალდებულებს დინჯად დაველოდო მიმდინარე პროცესებს, რადგან დაგვარწმუნა, რომ თანდათან ყველაფერი კარგად იქნება.

— ბატონო ანზორ, მართალია ნელა, ტანჯვით, მაგრამ მაინც გვიახლოვდება ოქტომბერი. რამდენიმე თვეში გვეყოლება ახალი პრეზიდენტი და ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქავს. თქვენი აზრით, ამით ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვნად შეიცვლება? კულუარებში და პრესაში პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატის გვარმა უკვე „გაიჟღერა“. არ გამოვრიცხავ, თქვენც გქონდეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

— გურულს ჰკითხეს — რავაა ქვეყნის საქმეო, არაა მაი ჩემი საქმეო, იყო პასუხი. არ ეშვება გურულს საქმით დაინტერესებული ეს კაცი და ახლა ისევ შეუტრიალა კითხვა — მაშინ მითხარი, რავაა შენი საქმეო. არაა მაი შენი საქმეო, მოკლედ მიუგო გურულმა. ამ შეკითხვაზე გურულის დამოკიდებულება არასერიოზულია, მაგრამ ზოგადად მაინც გეტყვით, რომ „გაჟღერებული“ კანდიდატურებიდან ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე ახალგაზრდა, არ მემეტება ფრთებშეჭრილი, ანუ ნახევრად უფლებააყრილი პრეზიდენტის სავარძლისთვის. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე, ამ თემას დიდი ხმაური და აჟიოტაჟი, ალბათ, არ სჭირდება.

— ბატონო ანზორ, ასეა თუ ისე, თქვენგან გარკვეულ საკითხებზე პასუხი მივიღე, მაგრამ გულახდილად გეტყვით, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მრჩება იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენებურად, მკაფიოდ ან არ, ან ვერ ახსენით ხელისუფლების „ბუქსაობის“ მიზეზები. არადა საზოგადოებას ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი აინტერესებს.

— კი ბატონო, რახან მაიძულებთ „მოვხსნა გუდას თავი“, დაკვირვებული მკითხველისთვის გასაგებად, მხოლოდ ორ მინიშნებას გავაკეთებ, რაც, ალბათ, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ზოგიერთებმა გული მოიფხანონ და „შემაქონ“ ნებისმიერი ეპითეტებით. უფრო მეტიც, ვინმემ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემთან, ღია ეთერში, დებატების გამართვა რომ მოინდომოს, არ დავთანხმდები, რადგან მეტს მაინც არ ვიტყვი და არავის არ ვათქმევინებ, რომ დამამარცხა.

— თუმცა სათქმელს მინიშნებით მაინც ერთგვარად დავაზუსტებ. საქმე ის გახლავთ, რომ დასავლეთი დაინტერესებულია დაიცვას თავისი პროექტი და „დემოკრატიის შუქურას“, როგორმე, ოქტომბრამდე ცოცხალ-მკვდარს მაინც მიატანინოს თავი; ჩვენი „კეთილგანწყობილი“ უახლოესი მეზობლები აუცილებლად უნდა გრძნობდნენ ჩვენდამი დასავლეთის მხარდაჭერას, რათა შეასუსტონ, გააფერმკრთალონ თავიანთი საოცნებო ზრახვები საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რასაც ერთი სიტყვით „ტერიტორია“ ჰქვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას, თავისი ისტორიის მანძილზე, ბევრი სიძნელე გადაუტანია და მრავალთა ჯინაზე, ოქტომბრამდეც მშვიდობიანად უნდა მივიდეთ.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი

აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

2007 წლის 7 ნოემბერი

2011 წლის 26 მაისი

◎ ვაზუსტებთ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობის ფოტოს გამო

ჩვენი გაზეთის 16 აპრილის ნომერში, მე-5 გვერდზე, დაბეჭდილია ზურაბ ცუცქირიძის ვრცელი სტატია — „განათლების ჩაგვრა საქართველოში“, რომელიც ძირითადად ჩვენში პედაგოგიკური მეცნიერების მდგომარეობას ეხება. მასალას, მთელ გვერდს, გაფორმების მიზნით და, საერთოდ, როგორც მეცნიერების სიმბოლიკა, დართული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობის ფოტო, რაც სრულებით არ შეესაბამება წერილის შინაარს და არ გამოხატავს ამ საკითხისადმი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დამოკიდებულებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

2007 წლის 7 ნოემბერი

2011 წლის 26 მაისი

◎ სოფლის მეურნეობა

ქვეყნის მეცხოველეობის სექტორის განვითარების მეცნიერული და პრაქტიკული ხედვა

2013 წლის 20 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიისა და ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ ორგანიზებით გაიმართა პრეზენტაცია მეცხოველეობის სექტორში დაკავებული მეწარმეებისა და სპეციალისტებისათვის. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის ქვეყანაში აგრარული პრიორიტეტების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში. აქედან გამომდინარე, იგი სისტემატურად უწევს ორგანიზებას სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომლებზეც განიხილება აგრარული სექტორის აქტუალური პრობლემები.

ასოციაცია „კავკასიის გენეტიკა“ აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორში, კერძოდ, მეცხოველეობის დარგში. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, ჯიშობრივი გაუმჯობესება ხელოვნური განაყოფიერების გზით, საკონსულტაციო მომსახურება და სხვ.

პრეზენტაცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გურამ ალექსიძემ.** განიხილეს საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმა, ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე და ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შეთავაზებები. ძირითადი ყურადღება დაეთმო არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორის ჯიშების გაუმჯობესების საკითხებს მაღალპროდუქტიული პირუტყვით ჩანაცვლებით და ხელოვნური განაყოფიერების გზით.

პრეზენტაციას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. პირველად შეხვდნენ და მეცხოველეობის დარგის პრობლემები განიხილეს 2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი **ზურაბ ცქიტიშვილი**) ინიციატივით. გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მეცნიერთა ჯგუფი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **გოგოთურ აგლაძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **თენგიზ ყურაშვილი;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **გიული გოგოლაია;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **იოსებ სარჯველაძე;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **ლევან თორთლაძე;** აკადემიური დოქტორი **ელიოზ ხაჭაპურიძე;** აკადემიური დოქტორი **თენგიზ ფირცხალაიშვილი; მატი ლამპი** – კომპანია „იმპრესკონ პარტნერის“ (ფინეთი) ექსპერტი; **გიორგი ხატიაშვილი,** ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ ექსპერტი, აკადემიური დოქტორი). აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით, ამ ჯგუფმა შეიმუშავა საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმა, რომელიც განიხილეს წლეულს მარტის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილესთან, ბატონ დავით შერვაშიძესთან და სამინისტროს სხვა პასუხიმგებელ პირებთან.



20 მარტის შეხვედრაზე აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის შემდეგ ქვეყნის მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმა ზოგადად წარმოადგინა მეცნიერთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა, ხოლო დეტალური განხილვით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ლევან თორთლაძემ. მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმაში ყურადღება გამახვილდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: მეცხოველეობის სექტორის მიმოხილვა; ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის განვითარებას; დარგის შესაძლებლობები; საქართველოს მთიანი რეგიონების მეცხოველეობის განვითარების გეგმა; წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობის განვითარების გეგმა; თბილისის რძით მომარაგების გეგმა; ხორცის წარმოების გეგმა; ტრენინგები და დამზადების კურსები; საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. გეგმის მიხედვით



ქვეყნის მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმა ზოგადად წარმოადგინა მეცნიერთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა, ხოლო დეტალური განხილვით – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ლევან თორთლაძემ. მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმაში ყურადღება გამახვილდა

გათვალისწინებულია 50 ფერმერული მეურნეობის შექმნა, თანამედროვე აღჭურვილობით, მექანიზებული სისტემებით, რომელიც გათვლილი იქნება 100 სულ მსხვილ რქოსან პირუტყვზე და დაკომპლექტდება შემოყვანილი ჯანმრთელი და მაღალპროდუქტიული უშობლებით, კომბინირებული (სარძეო, სახორცე) შვიცური, სიმენტალისა და ტარენტაიზის ჯიშებით. პრიორიტეტი მიენიჭება სარწყავ გეოგრაფიულ ადგილებს საკვები ბაზის უზრუნველყოფის მიზნით. შიდა ქართლში გათვალიწინებულია 10 ფერმერული მეურნეობა, ქვემო ქართლში – 18, კახეთში – 18 და მცხეთა-მთიანეთში – 4. 5000-ფურიანი მთლიანი პროექტის ღირებულება შეადგენს 37 250 000 ევროს. ამ გეგმით გათვალისწინებულია სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლის მთიანეთში, რაჭაში, მცხეთა-მთიანეთში არსებული წაბლა კავკასიური ჯიშის პირუტყვის პროდუქტიულობის გაუმჯობესება შვიცური, სიმენტალური

და ტარენტაიზის ჯიშების დართვითი შეჯვარებით, ხოლო საქართველოს მაღალმთიანეთში ქართული მთის ძროხის ჯიშის ხალასად მოშენება (ხევსურეთი, სვანეთი, აჭარის მაღალმთიანეთი, თიანეთი, თუშეთში). წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის შემოთავაზებულია სარძეო მიმართულების ჯერსიული და აირშირული ჯიშები და სახორცე მიმართულების ანგუსური ჯიში. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, პრაქტიკოსმა ფერმერებმა.

ღორის ჯიშების გაუმჯობესების შესახებ მოხსენებით გამოვიდა გერმანული კომპანია „Bayern Genetic“-ის წარმომადგენელი ბატონი მარტინ მაიერი. მან ისაუბრა ხელოვნური განაყოფიერების გზით ღორის ჯიშების გაუმჯობესებაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აღნიშნა, რომ იგი იცნობს კომპანია „Bayern Genetic“-ის საქმიანობას, ჰქონია მასთან ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში მუშაობის დროს, იგი საკმაოდ ავტორიტეტული, მრავალწლიანი გამოცდილების კომპანიაა და მისასალმებელია მისი საქმიანობის დაწყება საქართველოს მეცხოველეობის სექტორში. ბატონმა გურამ ალექსიძემ შეაჯამა შეხვედრის შედეგები. დადებითად შეფასდა მეცნიერთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმა“, გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია მეცნიერთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძესთან და ამ გეგმის განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების განხილვა.

სალომე კიკნაველიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

ალექსანდრე საყვარელიძე,
ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის მენეჯერი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

2007 წლის 7 ნოემბერი

2011 წლის 26 მაისი

117-ე მუხლი ჩასასწორებელია

დისკრიმინაციული კანონი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის

საძარცველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 117-ე მუხლით ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა რეგულირდება. ამ კანონით, თუ მას არღვევს საქართველოს მოქალაქე, მართვის მოწმობა 3 წლით ჩამოერთმევა. იგივე დარღვევისთვის უცხოელი მოქალაქისთვის მხოლოდ 500 ლარით დაჯარიმებაა განსაზღვრული.

თუმცა, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. წინა ხელისუფლების მთავარი ამოცანა უცხოელისათვის მუდმივი კუდის ქიცინი და მორჩილება იყო. მათ მთლიანად სხვა სახელმწიფოების კერძო კომპანიებზე გაასხვისეს ქვეყნის ენერგოსისტემა. ტყეები აღურიცხავად და უკონტროლოდ 40-50 წლის ვადით გადაეცა უცხოტომელებს, სადაც ფიჩხის გამოსატანად შესულ ადგილობრივებს აკავებენ და პასუხისგებაში აძლევენ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კანონმდებლობას. პოლიციელმა რომ მანქანა გააჩეროს, ამისთვის აუცილებელია, მძღოლი მოძრაობის წესებს არღვევდეს. მაგრამ წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მავნე ტრადიცია, პოლიციისათვის ყოვლისშემძლე და არაფერზე პასუხისმგებლის სტატუსის მინიჭება, ინერციით დღესაც გრძელდება. მას უმიზეზოდ შეუძლია გააჩეროს მანქანა და მძღოლს ალკოტესტის გავლა მოსთხოვოს.

2006 წლამდე, როდესაც პოლიციელი მანქანას აჩერებდა და მძღოლის ნასვამობაში ეჭვი შეჰქონდა, ექსპერტიზაზე გადაჰყავდა. თუ მძღოლი ტესტის გავლაზე უარს იტყოდა, მას პირდაპირ უწერდნენ 70-ლარიან ჯარიმას. ცოტა ხანში ეს წესი შეიცვალა და თუ მოქალაქეს ალკოტესტის გავლის ან არგავლის შემთხვევაში ჯარიმას გამოუწერდნენ, მას შეეძლო 2 საათის განმავლობაში მისულიყო ექსპერტიზაზე და სისხლის ანალიზი გაეკეთებინა. თუ აღმოჩნდებოდა, რომ იგი ნასვამი არაა, უფლება ჰქონდა დასკვნა წარედგინა პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჯარიმას უუქმებდნენ.

მაგრამ, სააკაშვილის მიერ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა და განუკითხაობა მალე საგზაო პატრულსაც შეეხო. პოლიციას უფლება მიეცა ნებისმიერი ავტომანქანის გაჩერების და მძღოლის ალკოტესტზე შემოწმებისა. თუ პატრულს მძღოლი არ მოეწონებოდა, ან პირადი ინტერესები ამოძრავებდა, შეეძლო ალკოტესტზე პირდაპირ გაეყვანა, თავის არიდების შემთხვევაში 3 წლით მართვის ჩამორთმევის ოქმს წერდა. ამის შემდგომ მოქალაქის მცდელობა, რომ ექსპერტიზის მეშვეობით დაემტკიცებინა თავისი სიფხიზელე (თუნდაც სასამართლოს მეშვეობით), უშედეგო იყო.

იმისათვის, რომ ეს ყველაფერი დარეგულირდეს და კანონიერების ფარგლებში მოექცეს, სამართლის დოქტორმა ავთანდილ კახნიაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო.

პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრის ოთარ ჩრდილელის განცხადებით, სწორედ ასეთი კაზუსებითაა სავსე კანონმდებლობა, რომელიც წინა ხელისუფლებამ სათავისოდ მოირგო და ახალს დაუტოვა.

ჩრდილელი მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება ყველა საკითხს სახელმწიფოებრივად უდგება და ამის გამო 117-ე მუხლი აუცილებლად უნდა ჩასწორდეს.

ზაზა ბილიხოძე

ქველმოქმედება

მადლი ქენი, ქვაზე დადე და... შეღავათიც მიიღე!

უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი ფილანთროპიის შესახებ კანონპროექტის განხილვას დაიწყებს, რომელსაც, ეჭვი არ არის, უდიდესი საზოგადოებრივ-სოციალური მნიშვნელობა ექნება, როგორც მოსახლეობის გაჭირვებული ფენების წარმომადგენელთათვის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დახმარების მიღების იმედად მყოფთათვის, ისე თავად ამ დახმარების გამწევ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთათვისაც.

კანონპროექტის ოფიციალური სახელწოდებაა „საქართველოს კანონი ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოების პარტნიორობის შესახებ“, მისი ინიციატორი კი არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა ფონდი „ტასოა“. ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მარინა თაბუკაშვილის განცხადებით, ქალთა ფონდ „ტასოსთან“ კანონპროექტის შემუშავების პროცესში მათ გარდა კიდევ მრავალი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა. აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე მიღებული კანონით განისაზღვრება, თუ ვინ იქნება ფილანთროპად მიჩნეული კანონმდებლობის თანახმად, ვის ექნება ამის გამო გარკვეული შეღავათები და ამ შეღავათების ნორმები, ასევე ის, თუ რა დახმარებას გაუწევენ ფილანთროპები საზოგადოების გაჭირვებულ ნაწილს.

„ფილანთროპია“ (ბერძნულად – philantropos) უქონელთა დახმარებას, ქველმოქმედებას, მოწყალებას, კეთილმოყვარეობას ნიშნავს. ეს მოძრაობა მე-18 – მე-19 საუკუნეების მიჯნაზე გერმანიაში წარმოიშვა და მასში ცნობილი ფრანგი მოაზროვნის ჟან-ჟაკ რუსოს ბუნებრივი აღზრდის თეორიის გავლენა იგრძნობა. თავად მოძრაობის ფუძემდებელი კი ი.ბაზედოვია, რომელმაც პირველი „ფილანთროპინი“, ანუ დახურული აღმზრდელობითი დაწესებულება (ინტერნატი) შექმნა.

კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, კანონის მიზანი ქვეყანაში ფილანთროპიის კულტურული ტრადიციის ჩამოყალიბება და დამკვიდრებაა, დაახლოებით ისეთის, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რომაა დამკვიდრებული, სადაც შეძლებული ადამიანები, მძლავრი კორპორაციები, ცალკეული ფირმები დიდძალ თანხებს გაიღებენ ყოველწლიურად სხვადასხვა საზოგადოებრივი, ანდა, ხშირად, კონკრეტული პიროვნებების გარკვეული საჭიროებებისთვის.

კანონპროექტის მიხედვით ფილანთროპად გახდომა არა მარტო სხვადასხვა ბიზნეს-კორპორაციებს, კომპანიებსა და ფონდებს, არამედ ფიზიკურ პირებს, რიგით მოქალაქეებსაც შეეძლებათ, ვინც დახმარებას კერძო სახსრებიდან საკუთარი ნებითვე გაიღებს.

უქონელთა დახმარება, მოწყალება, კეთილმოყვარეობა, რომლებსაც თავად ფილანთროპიის განმარტება მოიცავს, თავისთავად ადამიანის უკეთილშობილეს გრძნობებს, მოყვასისადმი მის კეთილგანწყობას, კაცთმოყვარეობას მიგვანიშნებს, რაც ოდითგანვე საზოგადოების განსაკუთრებულად კეთილშობილი, გამორჩეული, თანაც მეტ-ნაკლებად შეძლებული ხალხის განსაკუთრებული ნიშან-თვისება იყო. საქართველოში ქველმოქმედებას დიდი ხნის სახელოვანი ისტორია აქვს, რჩეულ ქველმოქმედთა სახელები კი დღესდღეობითაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი. უწინ ეს შეძლებული კაცის, ღირსეული მამულიშვილის პირადული ქონების სიდიდესა და კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული და არავითარ საგადასახადო, ანდა სხვა სახის შეღავათს არ ითვალისწინებდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს დროში საქართველოში ფილანთროპიაზე, ქველმოქმედებაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა მისი ძალიან დაბალი დონის გამო. თავად განსაჯეთ: **შარშანდელი რეიტინგის თანახმად, 145 ქვეყნიდან საქართველოს... სამარცხვინო, ბოლოდან მე-17 ადგილი ერგო. არადა, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მით უმეტეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილანთროპიის ისტორიას რომ გადავხედოთ, აშკარად გამოჩნდება, რომ უამრავი საქველმოქმედო ფონდის შექმნის (ვთქვათ, როკფელერის, როტშილდის, კარნეგისა და უამრავი სხვის) მთავარი მამოძრავებელი ძალა, სწორედ რომ, საგადასახადო შეღავათებია, რაც კერძო, კორპორაციულ კაპიტალს საზოგადოებრივ, გნებავთ, გაჭირვებულ კერძო პირთა სამსახურში აყენებს, რასაც ხალხისთვის, ერთიანად მოსახლეობისთვის აუარება სიკეთე მოაქვს.** აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ ეჭვს არ უნდა იწვევდეს იმ გარემოების სამართლიანობა, რომ საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურისთვის კონკრეტული ფირმები, კორპორაციები თუ ფიზიკური პირები გარკვეული საგადასახადო შეღავათებით უნდა სარგებლობდნენ.

ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ქალთა ფონდის „ტასოს“ ხელმძღვანელის, ქალბატონი თაბუკაშვილის თქმით, აღნიშნული კანონპროექტის ავტორებიც ევროპელთა და ამერიკელთა მიერ გაკვალული გზით წავიდნენ და იმ შემთხვევაში, **თუ იურიდიული პირი ფილანთროპიაზე გარკვეულ სახსრებს გაიღებს, მასზე კანონით გარკვეული საგადასახადო შეღავათი გავრცელდება. კერძოდ, შემუშავებული კანონპროექტით დაბეგვრიდან გათავისუფლდება პირის მიერ გაღებული თანხის ორმაგი ოდენობა.**

მეტი სიცხადისთვის ვიტყვით, რომ თუ, მაგალითად, რომელიმე სუბიექტმა ქველმოქმედებაზე ოფიციალურად ათასი ლარი გაიღო, მის მიერ მიღებული შემოსავლის ორი ათასი ლარი აღარ დაიბეგრება. გარდა ამისა, ფილანთროპიის სტატუსი იმ კერძო პირებზეც გავრცელდება, ვინც თავისი კერძო შემოსავლის 1,0-1,5 პროცენტს საქველმოქმედო მიზნებისთვის ჩარიცხავს. ასეთ შემთხვევაში ფიზიკური პირი წინასწარვე დააფიქსირებს, თუ კერძო შემოსავლის რა ნაწილს გაიღებს საქველმოქმედო მიზნისთვის, შესაბამისი სახელმწიფო უწყება კი ვალდებული იქნება, მიღებული თანხა საქველმოქმედო საჭიროებისთვის მიმართოს.

კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, „საქართველოს კანონის ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოების პარტნიორობის შესახებ“, ასე ვთქვათ, „იურიდიულ თარგად“ კანონმდებლობაში, კერძოდ, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე, რომლებიც სხვადასხვა შეღავათს ეხება, ევროპული მოდელი აიღეს, ხოლო კონკრეტიკა ფინანსთა სამინისტროში სათანადო კონსულტაციების გავლის შედეგად გაირკვა.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეკოლოგია და ჩვენ

„გაფრთხილება კაცობრიობას!“

მდგრადი განვითარება – არსი, მიზანი

SOS! SOS! SOS!

„თუ ადამიანი კვლავ განაგრძობს ბუნებისადმი ბოროტმოქმედებას, რამდენიმე ათეულ წელიწადში ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე არ იარსებებს“

მდგრადი განვითარების კონცეფციიდან

ვთქვათ პირდაპირ: ეკოლოგიური კატასტროფები წალეკვით ემუქრება კაცობრიობას... ამ პრობლემებზე კარგა ხანია ფიქრობს თითოეული გონიერი ადამიანი. ფიქრობს მაგრამ, ჯერჯერობით უძლურია რაიმე შეცვალოს!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ახალი რუბრიკით „ეკოლოგია და ჩვენ“ შეეცდება კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს ეს გლობალური პრობლემა და საქართველოს „განვითარებადი“ სახელმწიფოს მაგალითზე აჩვენოს, თუ როგორ გარემოში ვცხოვრობთ და რა მოგველის ხვალ...

რუბრიკას წარუძღვება საქართველოს დამსახურებული იურისტი და ჟურნალისტი, ეკოლოგიის პრობლემებზე ზრუნვით გამორჩეული ჭკუასაკითხავი კაცი, საზოგადოებრივი მოძრაობა „წინ – დედაბუნებისაკენ“ დამფუძნებელი ბატონი კოკი ნარმანია.

მესამე ათასწლეულის დასაწყისი ემთხვევა კაცობრიობის გადასვლას განვითარების ახალ ფორმაში, რომელმაც მიიღო **მდგრადი განვითარების** სახელწოდება.

მდგრადი განვითარება ეს ისეთი განვითარებაა, რომლის დროსაც დღევანდელმა თაობამ თავისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებით საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს მომავალ თაობათა შესაძლებლობები – ასევე, დაიკმაყოფილოს თავისი სასიცოცხლო ინტერესები. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, თუკი თანამედროვე ეტაპზე უზრუნველვყოფთ ისეთ სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც არ ანგრევს თავისი საზოგადოების ბუნებრივ საფუძვლებს.

დღეს უკვე დავას არ იწვევს ის აზრი, რომ ბუნების რესურსების უკონტროლო, ზღვარგადასული ექსპლუატაცია, რაც ტექნოკრატიულ აზროვნებას ემყარება, დაღუპვით ემუქრება არა მხოლოდ კაცობრიობას, არამედ ყოველივე ცოცხალს ჩვენს პლანეტაზე.

ამ მიმართულებით მრავალი წლის დაძაბული ძიების მნიშვნელოვანი შედეგი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის გადაწყვეტილებები, რომელზეც შეიმუშავეს მდგრადი განვითარების კონცეფცია. ამ კონცეფციის მონაწილე 18 ათასზე მეტი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი მეცნიერის, მათ შორის, ნობელის პრემიის მრავალი ლაურეატის ხელმოწერით მიიღეს დოკუმენტი „გაფრთხილება კაცობრიობას!“, რომლის დედააზრი ამ წერილს ეპიგრაფად (ფოტოზე) ახლავს.

ამ კონცეფციას უნიკალური უწოდეს, რადგან მისი გადაწყვეტილებების აღსრულება ბუნების (გარემოს) გადარჩენის უკანასკნელ შანსად მიიჩნევა.

კონფერენციის გენერალურმა მდივანმა მორის სტრონგმა თქვა: **„ჩვენ უნდა ვიხსნათ მთელი მსოფლიო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გადავრჩებით ვერც ერთი ჩვენგანი“.**

ამ კონცეფციას „XXI საუკუნის დღის წესრიგიც“ შეარქვეს, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფის შეჩერებას.

ანალიზი გაუკეთეს რა ეკოლოგიური კატასტროფის სერიოზული საფრთხის შემცველ ასეთ რეალობას, გაეროს შემადგენლობაში შემავალმა ორასამდე ქვეყანამ ამ კონცეფციის რეკომენდაციებით დაიწყო თავისი გეგმების, პროგრამების, მდგრადი განვითარების კონცეფციების სტრატეგიის დამუშავება.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვერ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი.

რიო-დე-ჟანეიროს კონცეფციის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა, ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანსა და ბუნებას შორის სრულიად ახალი ტიპის ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებით.

საზოგადოების მდგრად განვითარებაზე გადასვლა ისტორიული პროცესის განსაკუთრებული მდგომარეობაა. იგი ხასიათდება სოციალური პროცესების მიზანსწრაფული განვითარებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეკოლოგიზაციისა და ჰუმანიზაციის პრინციპების საფუძველზე.

ყოველივე ამასთან ერთად, მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკის განვითარებისა და ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ღონისძიებათა ჰარმონიულობას, ბუნებრივი რესურსების მომჭირნედ, ფრთხილად სარგებლობას, გარემოს დაბინძურების მინიმალიზაციას.

მსოფლიო საზოგადოების შესვლამ განვითარების ახალ ერაში საქართველოსთვის თითქოს შეუმჩნევლად ჩაიარა. ქვეყანაში დღემდე არ არის დამუშავებული ეკოლოგიური პოლიტიკის სტრატეგია, ეკოლოგიური დოქტრინა.

უპირველესი პრინციპი შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებს. ყველა ადამიანს აქვს უფლება ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის სასურველ გარემოში.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანასწორობა თაობებს შორის. ამის მიღწევა კი შესაძლებელია არსებული ეკოსისტემების შენარჩუნებისა და მათი მდგრადი სარგებლობის პირობებში. ამას კი საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოს მიერ ბუნების თანამიმდევრული დაცვა, ასევე ბიოსფეროს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ეკოლოგიური პროცესების გონივრული წარმართვა. ამასთან, სახელმწიფო უნდა გაუფრთხილდეს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას და ცოცხალი ბუნებრივი რესურსებითა და ეკოსისტემებით სარგებლობისას დაიცვას ოპტიმალური მდგრადი პროდუქტიულობის პრინციპი. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის ნორმების დადგენა, გარემოს თვისებრივ ცვლილებებსა და რესურსების გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელება, მათ შესახებ მონაცემების პერიოდული გამოქვეყნება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ სახელმწიფო ახდენს წინასწარ ეკოლოგიურ შეფასებებს ან მოითხოვს მათ განხორციელებას მოსალოდნელი საქმიანობის შინაარსის გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე ან ბუნებრივი რესურსების ამა თუ იმ სახით გამოყენებაზე.

მნიშვნელოვანი პრინციპია საჯაროობა. სახელმწიფო დროულად ატყობინებს ყველა პირს, რომელსაც შეიძლება საგრძნობლად შეეხოს დაგეგმილი ღონისძიებანი. ამასთან, ყველას აძლევს შესაძლებლობას, გამოხატოს თავისი ნება და ადმინისტრაციულ სასამართლო საქმეებში უზრუნველყოს მისი განხორციელების სათანადო პროცედურა.

რამდენადაც ეკოლოგიური პროცესები ხშირად გლობალურ მასშტაბებს იძენენ, იქმნება აუცილებლობა, რომ მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის განხორციელდეს სახელმწიფოებს შორის ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. თვით სახელმწიფოები უზრუნველყოფენ პირობებს, რომლის დროსაც ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება განიხილება, როგორც განვითარების დაგეგმვისა და მთელი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მოწინავე სახელმწიფოები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საქმეში დახმარებას გაუწევენ სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს.

მდგრად განვითარებაზე გადასვლა მეტად ხანგრძლივი პროცესია, რამდენადაც თავისი მასშტაბით უპრეცედენტო სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს.

პირველ რიგში უნდა გადაწყდეს ყველაზე მწვავე ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, დამუშავდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების პროგრამა.

როცა მდგრადი განვითარების აუცილებლობას ვუსვამთ ხაზს, აუცილებელია კიდევ ერთხელ იმ შეცდომების პირუთვნელი ანალიზი, რაც დავუშვით, თუნდაც ენგურჰესისა და მდინარე ჭოროხზე ჰესის აშენების დროს. ამ უკანასკნელის შემდეგები დამანგრეველი აღმოჩნდა აჭარის ზღვისპირეთისთვის.

რაც შეეხება ხუდონჰესის მშენებლობის განახლებას, იგი კატეგორიულად დაუშვებელია მდგრადი განვითარების კონცეფციის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს პირობებში ყველაზე ეფექტურია (და ამას თითქმის ყველა ეთანხმება!) მიკროჰესები, მით უფრო, რომ ქვეყანაში ასობით პატარა მდინარეა. მიკროჰესების ექსპლუატაციის გავლენა კი ბუნებაზე უმნიშვნელოა.

რამდენიმე წლის წინათ ამ მოსაზრებას იზიარებდა მრავალი სპეციალისტი. თბილისის საავიაციო ქარხანამ აითვისა მიკროჰესების ტექნოლოგია და რამდენიმე კიდევაც გამოუშვა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტეს როგორც ჩანს, დიდი ჰესების მშენებლობითა და ექსპლუატაციით დაინტერესებული ადამიანების გავლენით.

გარემო ბუნებაზე დიდი ჰესების დამანგრეველი გავლენა კატეგორიულად გვიკარნახებს, რომ მიკროჰესების გამოშვება უნდა განახლდეს.

ამასთანავე, ჩვენს პირობებში პერსპექტიულია მზის, ქარისა და ტალღების მიმოქცევის ენერგიის გამოყენებაც.

შეიძლება დავესესხოთ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას. მსოფლიოს 68 ქვეყანაში მიღებულია მზის ენერგიის გამოყენების ეროვნული პროგრამები. იტალიასა და აშშ-ში კარგა ხანია შექმნილია მზის ელექტროსადგურები, რომ ამერიკაში 2020 წლისთვის მზის ენერგია 30 პროცენტით დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნებს ენერგიაზე...



დედამიწა 400 მილიონი წლის წინათ მოფენილი იყო ასეთი მცენარეებით, ეს მაშინ, როცა ადამიანი მხოლოდ 4 მილიონი წლისაა.

ბუნებრივია ისიც, რომ ადამიანი საუკუნეების განმავლობაში საკვებად იყენებდა სწორედ ამ მცენარეულობას. იგი ადამიანთა ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაც იყო. მცენარეთა წარმოშობაშიც მრავალი საიდუმლოებაა. ამიტომაც ვამბობთ: ყოველი მცენარე წარსულის ცოდნის საიდუმლო ფორმულაა...

ანონსი

რუბრიკის – „ეკოლოგია და ჩვენ“ მორიგ გამოშვებაში იხილავთ წერილს –

გენეტიკური რღვევა – საზარელი მოვლენა!

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილს გართობებსა და საჩუქრებზე სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში დასდეს ბრალი

17 აპრილს პროცედურული საკითხებისა და რეგლამენტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა („ქართული ოცნება“) შოკისმომგვრელი უწოდა გამჟღავნებულ მონაცემებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ხარჯების შესახებ, რომლებიც ხორციელდებოდა გრიფით „საიდუმლო“ და კეთდებოდა პირადი დაცვის საჭიროების მუხლით. ცნობების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა, მისი სიტყვებით, მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე კონტროლი პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე გადავიდა ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში.

ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, რომ გასაიდუმლოებული ცნობები გადასცა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს დავით ბაქრაძეს (საკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), შემდეგ ჟურნალისტებს გაუზიარა ამ ხარჯების ზოგიერთი დეტალი.

კერძოდ, ახალ წელს, პარლამენტის არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, სააკაშვილი დაახლოებულ ადამიანთა ჯგუფთან ერთად არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში შეხვდა, რაზეც დაიხარჯა 240 ათასი ლარი. შემდეგ ავსტრიაში პრეზიდენტმა და თბილისის მერმა გიორგი უგულავამ გაიარეს კურსი, რათა წონაში დაეკლოთ. ამაზე 115 ათასი ლარი დაიხარჯა.

— იყო არამიზნობრივი ხარჯები პრეზიდენტის ოჯახზე, მის სტუმრებზე, მეგობრებზე, ჩინოვნიკებზე, იძენდნენ ძვირადღირებულ საჩუქრებს, — ამტკიცებს იმერლიშვილი. კერძოდ, მისი სიტყვებით, ოქროს სამკაულები აჩუქეს რუს ჟურნალისტს ქსენია სოკოლოვას, რომელიც ადრე ინტერვიუს იღებდა სააკაშვილისგან. იმის შესახებ, თუ რამდენი დაიხარჯა სახელმწიფო სახსრები ამაზე, არ მიუთითებენ. სააკაშვილისგან ძვირფასი საჩუქრები მიიღო უკრაინელმა მომღერალმა ივანა მელაიმაც.

ამავე მუხლით ნაზღაურდებოდა სააკაშვილის პირადი მზარეული, რომელიც ესპანეთიდან მოიწვიეს, მთლიანად ამაზე დაიხარჯა 500 ათასი ლარი.

დახურული მუხლით გავიდა ასევე მოულოდნელი ხარჯები, როგორიცაა, კერძოდ, 44 ცხვრის შეძენა, რომლებიც გადაეცა მოსახლეობას არჩევნების წინ. სააკაშვილის ცხვრები ბიუჯეტს 8 ათასი ლარი დაუჯდა.

— სააკაშვილს ყოველთვის

პათოლოგიურად უყვარდა ფუფუნება. მან კარგად იცოდა ფასები ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, მანქანებზე, საათებზე, როგორც გამოცდილმა საქონელმცოდნემ. როდესაც ქვეყანას ჩაუდგა სათავეში, შეძლო რეალურად განეხორციელებინა ეს ოცნებები, — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში პეტრე მამრაძემ, რომელიც პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი იყო, და რომელიც ასევე კარგად იცნობდა სააკაშვილს, სანამ იგი ქვეყნის ხელმძღვანელი გახდებოდა.

დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი გაბაშვილმა ჩვენს გამოცემას აცნობა, რომ ეს შეტევა პარტიასა და თავად სააკაშვილის წინააღმდეგ, კეთდება იმისთვის, რომ ჩაიშალოს 19 აპრილისთვის დანიშნული აქცია თბილისში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

თავად პრეზიდენტმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს წინა დღით განუცხადა, რომ არც იგი, არც მისი გარემოცვა არ იყენებდა ბიუჯეტს პირადი მიზნით. თუმცა, ამას უარყოფს ცნობები, რომლებიც გამოაქვეყნა „ქართულმა ოცნებამ“. მიმდინარე წლიდან ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ მკვეთრად შეამცირა ხარჯები პრეზიდენტის აპარატის, საპრეზიდენტო რეზიდენციისა და ტრანსპორტის შენახვაზე.

ИЗВЕСТИЯ

„როგორ ხარ მანდ, მიშა?“

მიხეილ სააკაშვილმა გაამჟღავნა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების დეტალები და ის როლი, რომელიც ამ ომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეასრულა. საქართველოს პრეზიდენტმა გვაცნობა, რომ ჯორჯ ბუში-უმცროსი სერიოზულად ფიქრობდა რუსეთის არმიაზე დარტყმის ვარიანტს, თუმცა, ეს იმან ვერ გადაწყვიტა. მან, აგრეთვე, აღიარა, რომ „ძვირფასი კონდი“ (იგულისხმება კონდოლიზა რაისი) ურჩევდა თბილისს არ ჩართულიყო ამ ომში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს ზოგიერთი დეტალის შესახებ.

კერძოდ, მან აღიარა, რომ მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აფრთხილებდა იმის შესახებ, რომ თბილისი არ ჩართულიყო ომში მოსკოვთან. „მაშინ მას ასე ვუპასუხე: „ჩვენ არ ჩავერთვებით, კონდი, ძვირფასო, მაგრამ რას გააკეთებთ თქვენ, თუ ისინი მართლაც შემოვლენ?“ ამაზე მან მიპასუხა: „არა მგონია, რომ ისინი ამას გააკეთებენ“, — უამბო მან ინტერვიუში ტელეარხ „რუსთავი-2“-ს.

სააკაშვილმა გაამჟღავნა ჯორჯ ბუშ-უმცროსთან თავისი მოლაპარაკების დეტალებიც. „როდესაც რუსეთის არმია უკვე მოდიოდა თბილისზე, დამირეკა ბუშმა. მან მკითხა: „რა ხდება, მიშა, როგორ ხარ მანდ, საქმე არც ისე კარგადაა, ხომ?“ მე მას ვუპასუხე: „იმას, თუ როგორა ვარ, უკვე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ხვალ შეიძლება მე აღარ ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, არც თქვენ უნდა გრძნობდეთ თავს კარგად, ვინაიდან საბჭოთა კავშირი დაიშალა მამათქვენის მართვის პერიოდში, და თუ თქვენი პრეზიდენტობის დროს არმია შემოვა თბილისში, საბჭოთა კავშირი აღდგება. და რაღას დაწერენ მაშინ თქვენს შესახებ ისტორიაში?“ ამაზე ბუშმა მიპასუხა: „მოიცადეთ, მე თათბირი მაქვს“, — ილაპარაკა სააკაშვილმა ამ დიალოგის შესახებ და დაუმატა, რომ ამ საუბრის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა გაეგზავნა საქართველოში თავისი ფლოტი.

მისი სიტყვებით, „ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად სწავლობდა როკის გვირაბის დაბომბვის შესაძლებლობას“, ამ გვირაბით შემოდიოდა მაშინ რუსეთის ჯარები სამხრეთი ოსეთის დასახმარებლად. „და ძალიან ვწუხვარ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღო“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

სააკაშვილი წუხს, რომ აშშ-მა არ დაიწყო ომი რუსეთთან საქართველოს გულისთვის

ამასთან ერთად, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის, უპასუხოს პარლამენტის კომისიას შეკითხვებზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით. „თუ შეიქმნება პარლამენტის კომისია, მზად ვარ, მივიდე პარლამენტში და ვუპასუხო ყველა საჭირო შეკითხვას, მაგრამ, როდესაც ეს თემა განიხილება ქვეყნის პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში, ეს სხვა შედეგებს იძლევა“, — დაუმატა მან.

პარლამენტის განზრახვის შესახებ, ხელმეორედ მოხდეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება, ცნობილი გახდა გასულ კვირას. „ჯერჯერობით კონკრეტულად უცნობია, რა ფორმით იმოქმედებს ეს კომისია, მაგრამ იგი აუცილებლად შეიქმნება. საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რა მოვლენები უსწრებდა წინ ამ ომს, რა ხდებოდა, რა ძაბავდა სიტუაციას“, — განუცხადა ჟურნალისტებს კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ.

ანალოგიური კომისია, რომელიც შეიქმნა საქართველო-ოსეთის ომის დამთავრების და მოსკოვის მიერ სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემდეგ, რათა აეძულებინათ თბილისი მშვიდობისთვის, 2008 წელს მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთი რამდენიმე თვის განმავლობაში გეგმავდა „საქართველოზე თავდასხმას“. „რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს შესაბამის სამსახურებში შემოდიოდა სიგნალები სამხედრო ოპერაციების მზადების შესახებ რუსეთის მხრიდან, მაგრამ მოსალოდნელი საფრთხის ანალიზი არ გაკეთებულა სათანადო დონეზე, ამიტომ სამხედრო ოპერაციის მასშტაბები რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღმოჩნდა მოულოდნელი საქართველოს ხელისუფლებისთვის“, — ნათქვამია მის დასკვნებში.

პარლამენტის ახალ უმრავლესობას თავისი კოლეგების დასკვნები საეჭვოდ მოეჩვენა. როგორც საგანელიძემ აღნიშნა, კომისიამ მაშინ „არ მოგვცა პასუხი მითითებულ საკითხებზე“. „პასუხები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ მისცა საზოგადოებრიობას, იყო პიარი და მცდელობა დაემალათ რეალური სიტუაცია“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ამას გარდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ადრე ისიც არ გამორიცხა, რომ შეძლებს დაკითხოს სააკაშვილი და, აგრეთვე, მთელი რიგი მაღალი რანგის ჩინოვნიკები ამ ომის საქმესთან დაკავშირებით. „ჰაგის სასამართლოს პროკურორთან შევიდა ბევრი ინფორმაცია, რომელთა თანახმადაც მოქალაქეები და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა წარმომადგენლები მიმართავენ საჩივრებით და აცხადებენ, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები ჩადიოდნენ დანაშაულს — საკარაუდოდ, ან ადამიანურობის წინააღმდეგ, ან დანაშაულებრივი მიზნით, რაც შეიძლება კვალიფიცირებული იყოს, როგორც სამხედრო დანაშაული. ჩვენი პრობლემა ჩვენ თვითონ უნდა გადავჭრათ, პროკურორთან ერთად ჩვენი ამოცანაა — გამოვიკვლიოთ საქმე 2008 წლის ომის შესახებ“, — ხაზგასმით აღნიშნავდა ადრე უწყების ხელმძღვანელი თეა წულუკიანი.

თავად სააკაშვილმა ამის საპასუხოდ ადრე განაცხადა, რომ იგი „არც როგორც პრეზიდენტი, არც როგორც საქართველოს მოქალაქე არ აპირებს ითანამშრომლოს გამოძიებასთან იმ საკითხების შესწავლაში, რომლებიც დაკავშირებულია 2008 წლის აგვისტოს ომთან“. „ეს გამოძიება მიზნად ისახავს შეარყიოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მიმართულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, ემსახურება საქართველოს მტრის ამოცანას — ბოლომდე მიიყვანოს საქმე“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

„რკინის შვილიშვილი“: 19 წლის ამანდა ტეტჩერმა ბებიის დაკრძალვაზე დიდი ყურადღება მიიპყრო

მარკ ტეტჩერის შვილიშვილმა წმინდა პავლეს ტაძარში 2 ათასი მაღალი რანგის სტუმრის წინაშე წაიკითხა ნაწყვეტი სახარებიდან. მეთვალყურეებმა აღიარეს, რომ მისი გამოსვლა იყო დამაჯერებელი და ეფექტიანი, პრესამ კი იფიქრა იმის შესახებ — ხომ არ აქვს მას პოლიტიკური ამბიციები. თავად ამანდამ შეკითხვაზე ლაკონურად უპასუხა: „ეს სისხლში გვაქვს“.

* * *

პოლიციამ ანგარიში ჩააბარა ტეხასის ძარხანაში აფეთქების შედეგად დაღუპულთა შესახებ — მათი ოდენობა 15 კაცამდეა

ოფიციალური მონაცემებით, სულ ცოტა 160 კაცმა მიიღო სხვადასხვა სახის ჭრილობა — დაზარალებულები გადაყვანილი არიან სამ ადგილობრივ საავადმყოფოში. წყაროს სიტყვებით, უგზო-უკვლოდ სამიდან ხუთამდე მეხანძრე დაიკარგა. ისინი ხანძრის ჩაქრობაში ღებულობდნენ მონაწილეობას. ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ შეიძლება დაიღუბა 60-დან — 70-მდე კაცი.

* * *

„სამარცხვინო დღე ვაშინგტონისთვის“: აშშ სენატმა უარყო ობამას ანტისაიარაღო კანონპროექტი

დოკუმენტი ითვალისწინებდა კონტროლის გამკაცრებას მყიდველთა პიროვნებაზე, მასრების რიცხვის შეზღუდვას, აგრეთვე, აკრძალვას ნახევრად ავტომატური იარაღის გაყიდვაზე. ამ ზომების მხარდასაჭერად აზრი გამოთქვა 54 სენატორმა აუცილებელი 60-ის ნაცვლად. ობამამ ბრალი დასდო რესპუბლიკელებსა და იარაღის ლობისტებს.

* * *

აშშ პოლიციამ გამოითვალა ორი საეჭვო პიროვნება ბოსტონის ტერაქტში ვიდეოს და ტელეფონის დახმარებით

სამართალდამცველები ჯერჯერობით არ იტყობინებიან რაიმე დეტალებს სავარაუდო დამნაშავეებზე და, საერთოდ, ცდილობენ გამოძიების მსვლელობა ჰქონდეთ საიდუმლოდ. ცნობილია მხოლოდ, რომ ეჭვი აიღეს რომელიღაც მამაკაცზე, რომელიც საუბრობდა ტელეფონით ადგილზე, სადაც მალე მოხდა პირველი აფეთქება, შემდეგ იგი დააფიქსირეს მეორე ბომბის მახლობლად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. ნიკოლოზ მეორედან - მიხეილ მეორემდე

მოხდა ისე, რომ 1917 წლის მარტის პირველ დღეს იმპერატორი დედაქალაქს და მთავარ მოვლენებს მოწყვეტილი, სადღაც მთავარსარდლის მთავარბანაკსა და ცარსკოე სელოს შორის გაჩხერილი, რაიმე პოლიტიკური, სამხედრო, დიპლომატიური და ოჯახური მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდა.

მემკვიდრე უფლისწული და პრინცესები წითელათი არიან ავად, ორი განსაკუთრებით მძიმედ არის. დედოფალი ძირითადად მათზე ზრუნავს, მაგრამ ვერც მიმდინარე მოვლენებს ტოვებს უყურადღებოდ და მეუღლეს დეპეშით ეხმიანება:

„იქნებ ეჩვენო ჯარებს ფსკოვში ან სადმე და გარს შემოიკრიბო? იმედი მაქვს, ორი გველი – დუმა და რევოლუციონერები – ერთმანეთს თავებს მოაჭამენ და ეს იხსნის მდგომარეობას. თუნდაც ეს უხერხული იყოს, ატარე მისი ჯვარი, ჩემი სიმშვიდისათვის“.

მისი ჯვარიო, რომ წერს ალექსანდრა ფიოდოროვნა – გერმანელი პრინცესა ალისა ვიქტორია ელენა ლუიზა ბეატრის ჰესენ-დერმშტადტელი, გრიგორი რასპუტინს გულისხმობს, რომელიც მანამდე ორი თვით ადრე მოკლეს და რომელიც თავად დედოფლის პიროვნებასთან ერთად, ალბათ, მთავარი მიზეზია, რის გამოც ნიკოლოზის გადადგომის საკითხი ესოდენ აქტუალური გახდა.

ფრონტების სარდალთა პასუხების შემდეგ იმპერატორმა თანხმობა განაცხადა გადადგომაზე და ხელმოწერილი დოკუმენტი რუზსკის გადასცა. მაგრამ, როცა გაიგო, რომ გუჩკოვი და შულგინი მასთან შესახვედრად გამოემგზავრნენ, გენერალი ნარიშკინი დაადევნა და უბრძანა, შეეჩერებინა მისი დეპეშების გაგზავნა ალექსეევისა და როძიანკოსათვის, ხოლო დოკუმენტი უკან დაებრუნებინა.

„რუზსკი სადგურზე ცხოვრობდა, თავის ვაგონში, – იგონებს ვოეიკოვი, – გენერალი ნარიშკინი რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა, რომ გენერალ-ადიუტანტმა რუზსკიმ უარი უთხრა დოკუმენტის დაბრუნებაზე და უთხრა, რომ თავად მოუტანდა მის უდიდებულესობას. გავიდა მტანჯველი ათიოდე წუთი, სანამ რუზსკი აუჩქარებლად მოუახლოვდა იმპერატორის მატარებელს. მან დაუბრუნა მის უდიდებულესობას ხელმოწერილი გადადგომა ამ აქტთან დაკავშირებულ ორ დეპეშასთან ერთად“.

აი, ეს დეპეშებიც, რომელთა გაგზავნა, როგორც ჩანს, რუზსკის უკვე მოესწრო:

„სახელმწიფო დუმის თავმჯდომარეს. არ არის ისეთი მსხვერპლი, რომელსაც მე არ გავიღებ მშობლიური დედა-რუსეთის გადასარჩენად და მისი ნამდვილი კეთილდღეობისათვის. ამიტომ მე მზად ვარ, უარი ვთქვა ტახტზე ჩემი შვილის სასარგებლოდ იმ პირობით, რომ იგი ჩემთან დარჩეს სრულწლოვანებამდე ჩემი ძმის, დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის რეგენტობით. ნიკოლოზი“.

და მეორე:

„უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსს, მთავარბანაკი. უსაყვარლესი სამშობლოს კეთილდღეობის, სიმშვიდისა და გადარჩენისათვის მზად ვარ, გადავდგე ჩემი ძის სასარგებლოდ. ყველას ვთხოვ, ემსახუროს მას ერთგულად და არაპირმოთნედ. ნიკოლოზი“.

აჯანყებული პეტროგრადის წარგზავნილები – დუმის ორი დეპუტატი ხუთი წითელბაფთიანი რევოლუციონერის თანხლებით – ამ ყველაფრის შემდეგ, 2 მარტის საღამოს ჩავიდნენ ფსკოვში ერთვაგონიანი მატარებლით.

მათ რუზსკი იკითხეს, მაგრამ ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი მორდვინოვი პირდაპირ იმპერატორის ვაგონში შეუძღვა, რის გამოც მერე რუზსკის რისხვა დაიმსახურა, ჯერ ჩემთან რატომ არ შემოიყვანეო! ვასილი შულგინი საკმაოდ კარგად ფლობდა კალამს და კარგადაც აღწერს იმ საღამოს ამბებს თავის მემუარებში. გვიამბობს, როგორ გახადეს პალტოები, როგორ შევიდნენ მწვანე ხავერდით გაწყობილ ვაგონ-სალონში, როგორ გამოეგება მათ მაღალი და გამხდარი ულვაშა გენერალი – კარის მინისტრი, 79 წლის გრაფი ვლადიმირ ფრედერიკსი, რომელსაც თავად უთხრა, რომ მისი სახლ-კარი პეტროგრადში აჯანყებულებმა ააოხრეს. მერე აღწერს მეფის გამოსვლას – მშვიდი ჩანდაო, მაგრამ ცისფერი თვალების გარშემო კანს მუქი ყავისფერი დასდებოდაო, ნაოჭები მკაფიოდ აჩნდაო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ნიღაბი ჰქონდა აფარებულიო. გამხდარი მეჩვენაო. რუხი ჩერკეზკა ეცვაო. ერთი სიტყვით, განადგურებული, დამარცხებული, გასაცოდავებული კაცის პორტრეტს ხატავს.

როცა პირველად წავიკითხე ეს ყველაფერი, თავიდან ერთგვარი თანაგრძნობითაც კი განვიმსჭვალე: მსოფლიოს ერთი მეექვსედის პატრონი ასე უპატრონოდ მიტოვებული სადღაც ფსკოვში ვინმე შულგინს, ვინმე გუჩკოვსა და ვინმე რუზსკის, რომლებიც უამამბებოდ ალბათ არც კი შემორჩებოდნენ ისტორიას, თავისი გადადგომის დეტალებს უთანხმებს. მაგრამ მერე სხვაგვარად შევხედე ამ ყველაფერს – ნიკოლოზ II-ს ღვთის სამართალი დაატყდა თავს ყველა მისი წინაპრის ნაცვლად. სხვაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ისე ჩანს, რომ უფლის განგებულობით სწორედ მან ზღო პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის ცოდვა, რაიც მათ ღვთის წინაშე ჩაიდინეს საქართველოს სამეფოს გაუქმებით.

აი, თურმე როგორია მეფობის განრთმევა!

გუჩკოვი წვრილად და ემოციურად უამბობდა იმპერატორს პეტროგრადის ამბებს. საქმე იქითკენ მიჰყავდა, რომ ეთქვა, ქვეყნისა და მონარქიის გადარჩენის ერთადერთი გზა მეფის გადადგომაშიაო. როცა, ბოლოს და ბოლოს, ეს მთავარი სათქმელიც თქვა, ვაგონში ცოტა ხნის წინ შემოსულმა რუზსკიმ შულგინს ჩარჩურჩულა, ეს უკვე გადაწყვეტილიაო.

გუჩკოვის წინადადება, ფაქტობრივად კი – ულტიმატუმი, არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. უმრავლესობისთვის მოულოდნელი არც იმპერატორის პასუხი უნდა ყოფილიყო, რომელმაც მანამდე უკვე მოაწერა ხელი გადადგომის მანიფესტს, მაგრამ მისმა სიტყვებმა ყველანი სახტად დატოვა:

– მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. დღის სამ საათამდე ვფიქრობდი, რომ ჩემი შვილის ალექსის სასარგებლოდ შემეძლო ტახტზე უარის თქმა. მაგრამ ახლა გადავწყვიტე, ჩემი ძმის მიხეილის სასარგებლოდ გადავდგე. იმედი მაქვს, გაიგებთ მამის გრძნობებს.

იმპერატორის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ტახტზე არა მხოლოდ თავისი, არამედ თავისი შვილის სახელითაც, გარდა იმისა, რომ არ შეესაბამებოდა სამეფო მემკვიდრეობითობის კანონს, სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის. მაგრამ იმჯერად მთავარი იყო, რაც შეიძლება სწრაფად მიეღოთ მეფის ნებაყოფლობით გადადგომა, რათა ამით რევოლუციური ტალღა შეეკავებინათ და დინასტია გადაერჩინათ. შულგინი თავად მტკიცე მონარქისტი იყო.

იურიდიული ნიუანსების გარჩევა არავის დაუწყია. მეორე მხრივ, მეფემ უარყო დუმის წარმოგზავნილთა მიერ შეთავაზებული მანიფესტის პროექტი, ტექსტს თავად შევადგენო, თქვა და ვაგონიდან გავიდა.

ცოტა ხნის მერე იგი მანქანაზე გადაბეჭდილი ფურცლებით დაბრუნდა. მოგონებების თანახმად, ეს იყო მთავარბანაკში რამდენიმე საათის წინ შედგენილი ტექსტი, თუმცა, პრინციპულად სახეცვლილი იმპერატორის უკანასკნელი გადაწყვეტილების შესაბამისად. გუჩკოვმა ტექსტი ხმამაღლა წაიკითხა. ხმა უთრთოდა. დუმის დესპანების წინადადებით და მეფის თანხმობით, შულგინმა ტექსტში რამდენიმე სიტყვა დააზუსტა და შემდეგ, ჩვენი უკან დაბრუნება რისკთან არის დაკავშირებული, კარგი იქნება გადადგომის მანიფესტს ერთზე მეტ ეგზემპლარად მოეწეროს ხელიო. იმპერატორი ამაზეც დათანხმდა. მერე კიდევ ორ დოკუმენტს მოაწერა ხელი – რუზსკის წინადადებით უმაღლეს მთავარსარდლად ბიძამისი დაადგინა, ხოლო გუჩკოვისა და შულგინის თხოვნით, მინისტრთა საბჭოს ახალ თავმჯდომარედ თავადი ლვოვი დანიშნა.

„თავად გიორგი ევგენის ძე ლვოვს ვავალებთ იყოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ნიკოლოზი“.

„ჩვენს ნაცვალს კავკასიაში, მის იმპერატორობით უდიდებულესობას, დიდ მთავარ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ვავალებთ იყოს უმაღლესი მთავარსარდალი. ნიკოლოზი“.

ეს ორივე დანიშნა აუცილებელი იყო, მაგრამ გადამდგარ მონარქს ამის გაკეთება აღარ შეეძლო, ამიტომ, თუმცა, სამივე დოკუმენტი 2 მარტის ღამეს, ერთდროულად იქნა ხელმოწერილი, ყველა მათგანი დღის 15 საათით გაფორმდა, რაც, მეორე მხრივ, მეფის გადაწყვეტილების დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობითობას უსვამდა ხაზს.

ასე რომ, 2 მარტს ღამის 2 საათზე ნიკოლოზმა პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნის ნებართვას მოაწერა ხელი, 15 საათზე – თავის გადადგომას ალექსის სასარგებლოდ ძმის რეგენტობით და 23-სა და 24 საათს შორის – გადადგომას მიხეილის სასარგებლოდ.

მიხეილი, მეორე რიგის მემკვიდრიდან და რეგენტიდან იმპერატორი ხდებოდა. ოდესღაც, 1899 წლიდან, როცა მისი უფროსი ძმა გიორგი გარდაიცვალა და 1904 წლამდე, უფლისწულ ალექსის დაბადებამდე იგი უკვე იყო ტახტის უშუალო მემკვიდრე, ხოლო ალექსის დაბადების შემდეგ, ნიკოლოზ II-ის მანიფესტით, იგი ნიკოლოზის სიკვდილის შემთხვევაში, რეგენტი ხდებოდა. მისი ეს მდგომარეობა სამეფო კარზე რადიკალურად შეიცვალა 1912 წელს, მას შემდეგ, რაც მან ყურად არ იღო ძმის თხოვნა თუ შეგონება და ცოლად მოიყვანა თავისი ხელქვეითის, პორუჩიკ ვლადიმირ ვულფერტის ცოლყოფილი, ნატალია შერემეტიევა. მისი ამ მორგანისტული ქორწინების გამო იმპერატორმა მას რუსეთში ცხოვრება აუკრძალა და ისიც ევროპაში ცხოვრობდა, სანამ ომის დაწყების გამო ძმას რუსეთის არმიაში სამსახურის თხოვნით არ მიმართა. ნიკოლოზმა შეიწყნარა მისი თხოვნა და სათავეში ჩაუყენა კავკასიის ველურ დივიზიას, რომელშიც შედიოდნენ მოხალისე კავკასიელი მუსულმანები, ვისაც რეგულარულ ჯარში გაწვევა არ ეხებოდა. ამავე დროს, ნიკოლოზმა მის ცოლსა და შვილს გრაფ ბრასოვების ტიტული უბოძა და გიორგი მიხეილის ძე ძმის შვილადაც აღიარა, თუმცა, ტახტზე მისი უფლება მისთვის არ მიუცია.

1917 წლის 2 მარტს ფსკოვში მიხეილი რუსეთის იმპერატორი გახდა, თუმცა, მან ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა.

მანიფესტს გადადგომის შესახებ ორ ეგზემპლარად მოეწერა ხელი. ერთი – ტელეგრაფის ბლანკებზე გადაბეჭდილი გენერალ რუზსკისთან დარჩა, მეორე კი – ერთ მთლიან დიდ ფურცელზე გადაბეჭდილი გუჩკოვმა და შულგინმა ჩაიბარეს ხელწერილით: **„1917 წლის 2 მარტის უმაღლესი მანიფესტი მივიღეთ. ალექსანდრ გუჩკოვი. შულგინი“.**

მანიფესტს ბოლოში აწერია: ქ. ფსკოვი. 1917 წლის 2 მარტი, 15 სთ. 5 წუთი. დოკუმენტი დამოწმებულია იმპერატორის კარის მინისტრის, გენერალ-ადიუტანტ, გრაფ ფრედერიკსის მიერ.

ღამის 3 საათზე გუჩკოვი და შულგინი იმ თავისი ერთადერთვაგონიანი მატარებლით და ხუთი წითელბაფთიანი რევოლუციონერით პეტროგრადისაკენ გაემგზავრნენ. მანამდე ერთი საათით ადრე ორივე ლიტერიანი მატარებელი დვინსკის გავლით მოგილიოვისკენ დაიძრა.

გზიდან, სადგურ სიროტინოდან მეფედყოფილმა ძმას დეპეშა გაუგზავნა:

„მის იმპერატორობით უდიდებულესობას მიხეილს. პეტროგრადი. ეს უკიდურესი ნაბიჯი ბოლო დღეების მოვლენებმა მაიძულა. მაპატიე, თუ გული გატკინე და თუ ვერ შევძელი წინასწარ გაფრთხილება. მუდამ დავრჩები სანდო და ერთგულ ძმად. ვბრუნდები მთავარბანაკში, სადაც, იქედი მაქვს, მოვალ ცარსკოე სელოში. მზურვალედ ვევედრები უფალს, შეგეწიოს შენ და შენს სამშობლოს. ნიკი“.

2 მარტის ჩანაწერი ნიკოლოზ II-ის დღიურში უკიდურესად ლაკონიურია:

„საღამოს პეტროგრადიდან ჩამოვიდნენ გუჩკოვი და შულგინი, რომლებთანაც მოვილაპარაკე და გადავეცი მათ უკვე ხელმოწერილი გადაკეთებული მანიფესტი. ღამის პირველ საათზე წამოვედი ფსკოვიდან განცდილის მძიმე გრძნობით. ირგვლივ ღალატია, სიმხდალე და ტყუილი“

არადა, მთელი ამ ამბების აღწერისას სულ მეგონა, რომ რაღაც მომენტში ვეღარ მოითმენდა, აენთებოდა, ყველას მამაპაპური გინებით თავზე დაახურავდა დედიმათისას, თავად კი გადადგებოდა ტახტიდან, სულ სათითაოდ აახევდა ყველას ეპოლეტებს და უკან სამარცხვინოდ მობრუნებული ივანოვის ნაცვლად თავად გაუძღვებოდა გიორგის ჯვრის კავალრებს დედაქალაქის დასაურვებლად.

მაგრამ არა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თავად იმპერატორიც შეთქმული იყო საკუთარი თავის წინააღმდეგ, მეტიც – სათავეში ედგა ამ შეთქმულებას!

ამასობაში პეტროგრადში მოვლენები ისე განვითარდა, რომ იმპერატორის გადადგომა საკმარისი აღარ იყო და საერთოდ მონარქიის გაუქმება დადგა დღის წესრიგში. სწორედ ამიტომ 3 მარტის დილის 8 საათსა და 45 წუთზე როძიანკო პირდაპირი მავთულით დაუკავშირდა რუზსკის და უთხრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, ნიკოლოზის მიერ მიხეილის სასარგებლოდ გადადგომის მანიფესტი არ გამოქვეყნებულიყო.

„ძირს რომანოვები!“ „ძირს დინასტია!“ – ეს ლოზუნგები უკვე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ძალაუფლების გაზრდაზე მეტყველებდა. როძიანკო არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდა, რომ მიხეილის იმპერატორად გამოცხადება, ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა.

როძიანკოსა და რუზსკის სატელეფონო საუბრის პარალელურად მილიუკოვმა სცადა, გაეფრთხილებინა პეტროგრადში ის-ის იყო ჩამოსული შულგინი, მანიფესტი არ გაეხმაურებინა, მაგრამ მანამდე რკინიგზის სადგურის გვერდით, სარკინიგზო სახელოსნოებში დუმის დესპანებმა უკვე სცადეს, გამოეცხადებინათ, რომ უმაღლესი სამეფო ხელისუფლება მის უდიდებულესობას, იმპერატორ მიხეილ II-ს გადაეცა. ამას ისეთი ამბავი მოჰყვა, რომ ჩაქოლვას და დაპატიმრებას ძლივს გადაურჩნენ. „ცუდი“ მეფის „კარგი“ მეფით შეცვლა რკინიგზის მუშებს არ მოეწონათ და დუმელებს გადადგომის ქაღალდი მოსთხოვეს. კიდევ კარგიო,– იხსენებდა 98 წლის შულგინი მარკ კასვინოვთან საუბარში 1975 წელს, – დოკუმენტი ჩამოსვლისთანავე დუმის წევრს ლებედევს შევატენეთო. მერე იმას ლომონოსოვისთვის გადაუცია, ლომონოსოვს როგორღაც მოუხერხებია და ბუბლიკოვისთვის მიუტანია, რომელსაც თურმე გაზეთებს შორის დაუმალავს თავისი მდივნის ეტაჟერზე.

სხვათა შორის, ეს ამბავი და თავად ეს დოკუმენტი, რომელიც 1928 წლამდე არავის ჰქონდა ნანახი და შემთხვევით აღმოაჩინეს მეცნიერებათა აკადემიის არქივში ლენინგრადში, მართლა ბადებს ეჭვს გადადგომის ნამდვილობის შესახებ. მართლაც, მას არათუ იმპერატორის ბეჭედი აზის, ნიკოლოზის ხელმოწერა ფანქრით არის გაკეთებული და კარის მინისტრი ფრედერიკსიც ფანქრითვე ამოწმებს მას. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ნიკოლოზის ის ხელმოწერა სპეციალური ტექნოლოგიით არის გადმოტანილი მისი 1915 წლის ერთი ბრძანებიდან არმიისა და ფლოტის მიმართ.

ასეა თუ ისე, 3 მარტის დილას თავად პუტიატინის სახლში მილიონის ქუჩაზე, სადაც დეიურე იმპერატორი მიხეილ II ცხოვრობდა, საიდუმლოდ შეიკრიბნენ დუმის დროებითი კომიტეტისა და დროებითი მთავრობის წევრები: როძიანკო, ლვოვი, მილიუკოვი, გუჩკოვი, შულგინი, ტერეშჩენკო, ჩხეიძე, კერენსკი და სხვები. უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მხოლოდ მილიუკოვმა და გუჩკოვმა ამოიღეს ხმა მონარქიის დასაცავად, დანარჩენები მიხეილ ალექსანდროვიჩს ტახტზე უარის თქმას ურჩევდნენ.

აი, როგორ აღწერს იმდილანდელ ამბავს შულგინი, რომელიც, გუჩკოვის არ იყოს, ორივე იმპერატორის გადადგომის მოწმე და მონაწილეა:

„დიდი მთავარი ოთახის შუაგულში გამოვიდა. სადღაც 12 საათი იყო... ჩვენ მივხვდით, რომ დადგა ჟამი... ჩვენ მას გარს შემოვეხვიეთ.

– ასეთ პირობებში მე არ შემიძლია მივიღო ტახტი, იმიტომ რომ... – მან სიტყვები ვერ დაასრულა, – იმიტომ რომ... იმიტომ რომ... – და ატირდა.

დიდი მთავარი თავის ოთახში შევიდა. დავიწყეთ საუბარი იმაზე, როგორ დაგვეწერა გადადგომის მანიფესტი“.

ტექსტის მონახაზის შედგენაში მონაწილეობდნენ დროებითი მთავრობის ფინანსთა მინისტრი ნიკოლაი ნეკრასოვი, დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრი კერენსკი და შულგინი, რომელმაც უარი განაცხადა დროებითი მთავრობის წევრობაზე. მერე ტექსტი გაგზავნეს ცნობილმა იურისტებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, კადეტმა ვლადიმირ ნაბოკოვმა და ბარონმა ალექსანდრ ნოლდემ. საბოლოო ვარიანტი კი ეკუთვნის დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველს ვლადიმერ ნაბოკოვს, სახელოვანი რუსი ამერიკელი მწერლის ვლადიმირ ნაბოკოვის მამას, რომელმაც ამ ტექსტით უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის, და არა მარტო რუსეთის ისტორიაში, ვიდრე მისმა გამოჩენილმა შვილმა მთელი მისი შემოქმედებით.

აი, ეს ტექსტიც, ჩემეულ თარგმანში:

„მძიმე ტვირთი დამეკისრა ნებითა ძმისა ჩემისა, რომელმან გადმომცა მე სრულიად რუსეთის საიმპერატორო ტახტი წელსა უმაგალითო ომისა და ხალხთა მღელვარებისა. მთელ ხალხთან ერთად შთაგონებული ა ზრით, რომ ყველაფერ ზე მაღლა კეთილდღეობაა ჩვენის სამშობლოსი, მე მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკისრო უმაღლესი ძალაუფლება, თუ ასეთი იქნება ნება ჩვენი დიადი ხალხისა, რომელსაც მართებს საერთო-სახალხო კენჭისყრით აირჩიოს თავისი წარმომადგენლები დამფუძნებელ კრებაში, დაადგინოს მმართველობის ფორმა და ახალი ძირითადი კანონები რუსეთის სახელმწიფოსი. ამიტომ, გამოვითხოვ რა ღვთის კურთხევას, ვთხოვ რუსეთის ყველა მოქალაქეს, დაემორჩილოს დროებით მთავრობას, შექმნილს სახელმწიფო დუმის თაოსნობით და აღჭურვილს ძალაუფლების მთელი სისრულით, მანამ, სანამ საყოველთაო, პირდაპირი, თანაბარუფლებიანი, საიდუმლო კენჭისყრის საფუძველზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოწვეული დამფუძნებელი კრება თავისი გადაწყვეტილებით მმართველობის ფორმის თაობაზე არ გამოხატავს ხალხის ნებას.

ხელს აწერს მიხეილი.

3 მარტი, 1917 წ. პეტროგრადი“.

აი, ასე დასრულდა მონარქია რუსეთში.

ეს ამბავი ნიკოლოზმა 3 მარტის საღამოს გაიგო, როცა თავისი ორი მატარებლით მოგილიოვში, მთავარბანაკში მივიდა და ალექსეევმა მას როძიანკოსგან მიღებული ახალი ამბები მოახსენა.

„თურმე მიშამ უარი თქვა, – ჩაწერა იმპერატორმა ძილის წინ თავის დღიურში, – მისი მანიფესტი მთავრდება 6 თვის შემდეგ დამფუძნებელი კრების არჩევნების ოთხკაპით. ღმერთმა უწყის, ვინ ჩააგონა იგი, ხელი მოეწერა ასეთი სისაძაგლისთვის!“

„მოგილა“ რუსულად საფლავს ნიშნავს. მოგილიოვი ნიკოლოზ II-ის პოლიტიკური საფლავი აღმოჩნდა. ნამდვილი საფლავი მას კარგა ხანს არც ღირსებია – ის და მთელი მისი ოჯახი მხეცურად დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1918 წლის 17 ივლისს ეკატერინბურგში. 2000 წლის 20 აგვისტოს რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ნიკოლოზ II და მისი ოჯახის ყველა წევრი წმინდანებად შერაცხა წმინდა ტანჯვადათმენილი სამეფო ოჯახის სახელით. მანამდე, 1981 წელს, ნიკოლოზი II წამებულთა დასს მიაკუთვნა საზღვარგარეთის რუსულმა ეკლესიამ.

საზღვარგარეთის რუსულმა ეკლესიამ წამებულთა დასს მიაკუთვნა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი მიხეილ II-ც, რომელიც ძმის მოკვდინებამდე ერთი თვით ადრე, 1918 წლის 13 ივნისს მის მდივანთან ბრაიან ჯონსონთან ერთად ყაჩაღურად მოკლეს ჩეკისტებმა და მილიციონერებმა პერმში.

1917 წლის 4 მარტს კი თავრიზის სასახლეში გამოსაქვეყნებლად მომზადდა ორი ისტორიული დოკუმენტი:

„აქტი იმპერატორ ნიკოლოზ II-ის რუსეთის სახელმწიფოს ტახტიდან გადადგომის შესახებ დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდროვიჩის სასარგებლოდ“ და „აქტი დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდროვიჩის მიერ უმაღლესი ძალაუფლების მიღებაზე უარისა და სახელმწიფო დუმის თაოსნობით შექმნილი დროებითი მთავრობის ძალაუფლების აღიარების შესახებ“.

ორივე დოკუმენტი ერთდროულად გამოქვეყნდა 5 აპრილს.

ეს ცნობა ყუმბარასავით გასკდა რუსეთის მთელ იმპერიაში. დაიწყო იმპერატორის სამსახურში მყოფი ხალხის დაპატიმრებები და დაკითხვები. განსაკუთრებით დევნიდნენ თანამდებობის პირებსა და მაღალჩინიან სამხედროებს. ისინიც უკვე თავის საშველ გზებზე ფიქრობდნენ.

მათ შორის იყო ვარშავაში დისლოცირებული ლეიბ-გვარდიის ჰუსართა გროდნოს პოლკის ესკადრონის მეთაური, პოლკოვნიკი ალექსი ფანჩულიძე.

პაატა ნაცვლიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭადრაკი

ვაჟებიცა და ქალებიც — შვეიცარიაში

შარშან ლონდონში სტარტი აიღო მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს გრან პრის 2012-1013 წლების გათამაშებამ, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 19 წარმომადგენელი მონაწილეობს. მეორე ეტაპს ტაშკენტმა უმასპინძლა. ორი რაუნდის შემდეგ 220 ქულით აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი მეწინავეობს. მას 10 ქულით ჩამორჩება ჩინელი ვან ჰაო. 170 ქულით მესამე ადგილზეა ბორის გელფანდი (ისრაელი).

გუშინ გრან პრის მონაწილე 12 უძლიერესი დიდოსტატი ვაჟი შვეიცარიის ქალაქ ზუგში შეიკრიბა მესამე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2772), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2767), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), 2758), პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2744), გატა კამსკი (აშშ, 2741), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, 2733), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2727), რუსტამ კასიმჟანოვი (უზბეკეთი, 2709). ისინი წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს.

შვეიცარიულ ჟენევაში ფიდეს გრან პრის სასტარტო რაუნდში მოსინჯავენ ძალებს მანდილოსნებიც. ფიდემ დაასახელა ის 18 დიდოსტატი ქალი, რომლებიც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 2013-2014 წლების გრან პრის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ტურნირის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ტიტულის მფლობელთან იბრძოლებს.

ფიდეს გრან პრის ახალ გათამაშებაში იასპარეზებენ: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2585), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2545),** ორგზის ევროპის ჩემპიონი და გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული კატერინა ლაგნო (უკრაინა; იგი გათამაშებაში ქალთა რეიტინგის სათავეში მყოფი უნგრელი იუდით პოლგარის ნაცვლად მიიწვიეს, რადგან მადიარს ქალთა შეჯიბრებებში არასდროს უასპარეზია, 2550), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2525), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2522), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2509), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2521), **ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 2492),** მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუს მოჭადრაკეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ამ გათამაშებაში იგი შვეიცარიის სახელით მოსინჯავს ძალებს, 2496), მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2488), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2478), ოლგა გირია (რუსეთი, 2464), ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი, 2312) და თუშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი, 2295).

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა 2013-2014 წლების გრან პრი ექვსი ეტაპისგან შედგება. თითოეულმა მოჭადრაკემ ოთხ-ოთხში უნდა იასპარეზოს და საერთო ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შევა. გრან პრიში მონაწილეობა მოჭადრაკეებისთვის ფინანსურადაც ხელსაყრელია, რადგან თითოეული ეტაპისთვის 60.000 ევროა გამოყოფილი: I ადგილი — 10.000 ევრო (+160 ქულა), II. 8.250 (+130), III. 6.750 (+120), IV. 5,750 (+90), V. 5.000 (+80), VI. 4.500 (+70), VII. 4.250 (+60), VIII. 4.000 (+50), IX. 3.250 (+40), X. 3.000 (+30), XI. 2.750 (+20), XII. 2.500 (+10).

გრან პრის გათამაშება ჟენევაში (შვეიცარია) 2-16 მაისს გაიმართება. შეჯიბრებაში წრიული სისტემით ჩაებმებიან ჰოუ იფანი, ანა მუზიჩუკი, ნანა ძაგნიძე, კატერინა ლაგნო, ნადეჟდა კოსინცევა, ვიქტორ ჩმილიტე, ცზიუ ვენძიუნი, ბელა ხოტენაშვილი, ალექსანდრა კოსტენიუკი, ანა უშენინა, ოლგა გირია, თუშინთუგს ბათჩიმეგი.

აქვე დანარჩენი ხუთი ეტაპის კალენდარსაც შემოგთავაზებთ:

II ეტაპი. 15-29 ივნისი, 2013 წ. (დილიჟანი, სომხეთი),

III ეტაპი. 17 სექტემბერი — 1 ოქტომბერი, 2013 წ. (ტაშკენტი, უზბეკეთი).

IV ეტაპი. 2-16 მაისი. 2014 წ. (ხანტი-მანსიისკი, რუსეთი).

V ეტაპი. 18 ივნისი — 2 ივლისი, 2014 წ. (თბილისი, საქართველო)

VI ეტაპი. 24 აგვისტო — 7 სექტემბერი, 2014 წ. (ერდენეთი, მონგოლეთი).

ლექსო ცინცაძე

◎ ძიუდო

ისინი ევროპაზე გამოვლენ

უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 25-28 აპრილს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ლასლო პაპის სახელობის სპორტის სასახლეში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ირაკლი უზნაძის ხელმძღვანელობით ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ამირან პაპინაშვილი (60), ლაშა შავდათუაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (ორივე — 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური (81), ვალერი ლიპარტელიანი (90) დავით ლორიაშვილი (100) და ადამ ოქრუაშვილი (+100). 28-ში, გუნდურ ტურნირში საჭიდაოდ მწვრთნელი დამატებით კიდევ სამ ფალავანს წაიყვანს — შალვა ქარდავას (66), ზვიად გოგოჭურსა (90) და ონისე ბუღაძეს (+100). როგორც ვხედავთ, უზნაძე კონტინენტის პირველობაზე იმ ფალავნებს აძლევს ჭიდაობის შანსს, ვისიც ყველაზე მეტად ეიმედება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუდაპეშტში ქალთა ტურნირის მონაწილე არ გვეყოლება. მართალია, მძიმეწონოსან ირინა ლეონიძის წაყვანას ვარაუდობდნენ, მაგრამ ვიზის და თანხის პრობლემის მოგვარება არ ხერხდება.

ლაშა დიდია

◎ ექსტრიმი

ავტოტრასა მეზობლებს აერთიანებს

დამდეგ უქმეებზე 10 საათზე თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება ოფროუდ თრიალში საქართველოს ღია ჩემპიონატის მეორე ეტაპი. ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს ოფროუდ კლუბი.

საქართველოს ღია ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაიმართება 5 კატეგორიაში: ორიგინალი, სტანდარტი, მოდიფი, პრო-მოდიფი და პროტო. კატეგორიები განისაზღვრება სარბოლო ავტომობილის მომზადების მიხედვით. ჩემპიონატში მონაწილეობენ პროფესიონალი და მოყვარული ავტომრბოლები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ყველა იმ პროფესიონალ თუ მოყვარულ ავტომრბოლს, რომელიც დააკმაყოფილებს შეჯიბრის რეგლამენტის მოთხოვნებს, მიიღებს საქართველოს ღია ჩემპიონატში მონაწილის ლიცენზიას და რომლის სარბოლო ავტომობილი წარმატებით გაივლის ტექნიკურ კომისიას.

საქართველოში ოფროუდ მოძრაობა სტარტს 2007 წლიდან იღებს. პირველი შეჯიბრი საქართველოს ოფროუდ კლუბის ორგანიზებით გაიმართა 2008 წელს, ხოლო 2009 წლიდან საქართველოს ოფროუდ კლუბის მიერ ორგანიზებულ ყველა ტურნირს საერთაშორისო სტატუსი აქვს. 2013 წელს ოფროუდ კლუბმა გადაწყვეტილება მიიღო პირველად საქართველოს ისტორიაში ჩაეტარებინა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც შეეძლებოდათ. ჩემპიონატის პირველი ეტაპი 30-31 მარტს თბილისში გაიმართა.

ტურნირის ოფიციალური მხარდამჭერია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სპონსორები — კომპანია „თეგეტა მოტორსი“, „პრემიუმ ავტონაწილები“, მაღაზია 4WD, „ავტორადიო“, პორტალი myvideo.ge.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია მოაწყვეს და ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ იდეა

ასჯერ გავზომოთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციებთან ერთად სამი ქვეყნის გაერთიანებული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს. ამ სიახლის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „არენაში“ განაცხადა.

თუ სამივე ქვეყნის ფედერაცია შეთანხმდა, მომავალ პრემიერლიგაში 18 გუნდი ითამაშებს — თითოეული ქვეყნიდან ექვს-ექვსი წარმომადგენლით. თუ ორი ქვეყანა შეთანხმდა, ასეთ შემთხვევაში ჩემპიონატი 16-გუნდიანი იქნება — 8-8 გუნდი ყოველი ქვეყნიდან. სიჭინავამ ხაზი გაუსვა, რომ სამი ქვეყანა ევროტურნირებზე თავის კვოტას შეინარჩუნებს და 4-4 გუნდით ითამაშებს.

პროექტი ერთი წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს და ამ პერიოდში ჩატარდება ამხანაგური თამაშები, რის შემდეგაც შეაფასებენ თუ რამდენად დიდი იქნება მაყურებლების, ტელევიზიების და სპონსორების ინტერესი გაერთიანებული ჩემპიონატის მიმართ და ღირს თუ არა მისი ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ქართული კლუბების მესვეურებმა იდეა მოიწონეს.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

საკონტროლო გასროლის მოლოდინში

უკვე გაუწყეთ, რომ საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის პირველი მონაწილე მადრიდის „რეალი“ გახდა, რომელმაც პლეიოფის სერია მშრალი ანგარიშით მოუგო თელ-ავივის „მაკაბის“ — 3:0.

ლონდონის საგზურის ვადამდე მოპოვება ცსკა-ს და პირეოსის „ოლიმპიაკოსსაც“ შეეძლოთ, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო პროგრამა — მინიმუმის შესრულება ჯერჯერობით ვერ მოახერხეს.

„კახა ლაბორალი“ — ცსკა 93:72 (2:1).

„ეფეს პილსენი“ — „ოლიმპიაკოსი“ 83:72 (2:1).

დღეს ამ წყვილების მეოთხე მატჩები გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

ბოლო ტურის წინ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის მონაწილე ხუთ გუნდს უკონკურსოდ მეტოქეობას უწევდა აზერბაიჯანის ნაკრები, რომელმაც ხუთიდან მხოლოდ ორ შეხვედრაში მიაღწია წარმატებას. ისევ იყოჩაღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც ხუთივე მატჩი მოიგეს. ბოლო მე-4 რაუნდი 19-24 მაისს გაიმართება.

გაუწყებთ მე-3 ტურის შეხვედრათა შედეგებს:

I დღე. სტუ — „იმედი“ 40:34, ქუთაისი — აზერბაიჯანი 25:32, თსუ — „მერანი“ — ბათუმი 30:33.

II დღე. ქუთაისი — ბათუმი 31:48, თსუ — „მერანი“ — სტუ 28:41, აზერბაიჯანი — „იმედი“ 29:22.

III დღე. სტუ — აზერბაიჯანი 29:24, თსუ — „მერანი“ — ქუთაისი 32:24, „იმედი“ — ბათუმი 33:38.

IV დღე. „იმედი“ — ქუთაისი 34:22, ბათუმი — სტუ 29:38, აზერბაიჯანი — თსუ-„მერანი“ 28:29.

V დღე. სტუ — ქუთაისი 35:20, თსუ — „მერანი“ — „იმედი“ 41:33, ბათუმი — აზერბაიჯანი 20:17.

გათამაშების ცხრილი 3 ტურის შემდეგ

	მ	ფ	წ	ბ	ძ
სტუ	12	0	0	442:316	24
ბათუმი	8	1	3	348:275	17
„მერანი“	6	1	5	312:260	13
„იმედი“	3	0	9	374:444	6
ქუთაისი	0	0	12	277:390	0

გივი გაგუა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აი, ისევ რას იზამდნენ გამარჯვებული ნაციონალები, 19 აპრილს დამარცხებული „ქართული ოცნების“ მიტინგი რომ იმართებოდეს

2007 წლის 7 ნოემბერი

2011 წლის 26 მაისი

◎ შეხვედრა

„თორდა“ და „მარიალისი“ — ქედელში

საქართველოს ქალთა საბჭომ, თეატრალურმა სტუდია „ჭინჭრა-ქამ“, მასთან არსებულმა ანსამბლებმა — „თორდამ“ და „მარიალისმა“ დედა ენის დღე მიულოცეს და ერთობლივი შეხვედრა-კონცერტი გამართეს თემ ქედელში. ამ დღემ ამაღელვებლად, ცრემლიანი სიმღერითა და ცეკვით ჩაიარა. ყველა ტიროდა, სტუმარიც და მასპინძელიც... ყველამ დაინახა, თუ რა იყო სრულფასოვანი, ღირსეული საარსებო გარემოს შექმნა, მათი სოციალური ინტეგრაცია...

„ქედელი“, როგორც საცხოვრებელი თემი, 2000 წელს დაფუძნდა შეზღუდული, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების ზრდასრული ადამიანებისათვის. „ქედელის“ მიზანია ღირსეული საარსებო გარემოს შექმნა, მათი სოციალური ინტეგრაცია და სოციალური თერაპია, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება შრომით საქმიანობაში ჩართვით“.

ქედელს აქვს ორი საცხოვრებელი სახლი, სადაც ცხოვრობს შრომის, გონებრივი და ფიზიკური პრობლემების მქონე 21 ადამიანი, ყველაზე უფროსი 42 წლისაა და ერთი არასრულწლოვანი — 15 წლის. თემში მცხოვრები ადამიანები ძირითადად კასპისა და სენაკის ინვალიდ ბავშვთა სახლებიდან არიან გადმოყვანილები. დღის განმავლობაში ისინი დასაქმებულნი არიან შრომით თერაპიულ სახელოსნოებში, როგორებიცაა ფერმა, ბაღი, საცხობი, საქსოვი, სადურგლო.

თემის დამაარსებელი და დირექტორია პროფესიით დირიჟორი, ლალი ხანდოლიშვილი, რომელსაც მეუღლე და შვილები ამ რთული საქმიანობის გაძღოლაში ეხმარებიან. ქალბატონმა ლალიმ აქვე ჩამოაყალიბა ანსამბლი „ქედელი“, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს. ლალი ხანდოლიშვილი მადლობას იმსახურებს მამულიშვილური საქმიანობისათვის. ქალთა საბჭო მას მომავალშიც უყურადღებოდ არ დატოვებს.

ნატა ნიბლაძე

◎ შორსმხედველობა

ციფრებსა და ფაქტებში

შორსმხედველობის (ჰიპერმეტროპიის) დროს საგნის გამოსახულების ფოკუსირება ხდება არა თვალის ბადურაზე, არამედ მის უკან. ამის გამო ადამიანი კარგად ხედავს საგნებს, რომლებიც შორს არიან განლაგებული, მაგრამ ცუდად — ახლოს.

შორსმხედველობის ერთ-ერთი მიზეზი — თვალის კაკლის შემცირებული ოდენობაა.

ყველა ჩვენგანი შორსმხედველი იბადება, მაგრამ თვალის განვითარებისა და ზრდის პროცესში ჩვენი მხედველობა ნორმალური ხდება.

8 დიოპტრიაზე მეტი — ასეთ შორსმხედველებს მშვიდობიან პერიოდში არმიაში სამსახურიდან ათავისუფლებენ.

40-50 წლის შემდეგ ყველა ადამიანს, როგორი შესანიშნავიც უნდა ჰქონდეს მხედველობა ახალგაზრდობაში, უვითარდება ასაკობრივი შორსმხედველობა (პრესბიოპია).

თვალიდან 30 სანტიმეტრი და იქით — მხოლოდ ასეთი მანძილიდან შეიძლება გავარჩიოთ საგნები, განსაკუთრებით პატარები, ასაკობრივი შორსმხედველობის დროს.

მხედველობის კორექცია შორსმხედველობის დროს ხდება სათვალეების დახმარებით. დროთა განმავლობაში დგება უფრო მაღალი დიოპტრიების სათვალეების შერჩევის აუცილებლობა.

ასაკობრივი შორსმხედველობის დროს ყოველი 5 წლის შემდეგ ჩვეულებრივად ხდება სათვალეების შეცვლა.

შორსმხედველობის მკურნალობის ყველაზე პოპულარული ოპერაციაა თვალის გამჭვირვალე ბროლის, თერმოკერატოპლასტიკის (ან თერმოკერატოაგულაციის) შეცვლა — ოპერაცია რქოვანას ფორმის შეცვლის მიზნით და დადებითი ლინზის იმპლანტაცია.

შორსმხედველობის დროს მხედველობის ვარჯიშისთვის ფართოდ იყენებენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებსა და თამაშებს.

დედამიწის მოსახლეობის 33 პროცენტს ჰიპერმეთროპია აწუხებს.

თვალების მიშტერება ცხვირზე შორსმხედველობისა და ახლომხედველობის პროფილაქტიკის მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტიანი ფორმაა სკოლამდელ ასაკში. ასე რომ, ნუ გაუწყრებით ბავშვებს, როდესაც ისინი ხუმრობით იელმებენ თვალებს.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ლალი და ნუგზარ ქავთარაძეებს დედისა და სიდედრის

შუშანა ვიქტორის ასულ სურგულაძე-გუჯაბიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს ჯანმრთელობის სახლის გენერალური დირექტორის, ქალთა საბჭოს გამგეობის წევრის, აქტიური და ქველმოქმედი ქალბატონის ლალი გუჯაბიძის დედის, ქალთა საბჭოს საპატიო წევრის

შუშანა სურგულაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ლალი და ნუგზარ ქავთარაძეებს ძვირფასი დედისა და სიდედრის

შუშანა ვიქტორის ასულ სურგულაძე-გუჯაბიძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ჯემალ კვირტია, მერაბ ზამბახიძე, თემურ ლომაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე. ძმობისა და მეგობრობის ვაჟკაცური თანადგომისა და გამტანლობის ეტალონი, განგებისგან შესანატრი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პატრიოტი

დავით სავანელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ პროფესორ ლია ბითაძეს მამის

ოთარ ბითაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

2013 წლის 7 ივნისს 15 საათზე, შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ის ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთი) გაიმართება ასფალტის ქარხნის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება და რეალიზაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ის ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში — ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთი;
- ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 1 ივნისის 18 საათამდე.

შპს „ამბროლაურის ავტოგზა 10“-ის ადმინისტრაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

ოდა იოდს

ახლა ყველა მოგვიწოდებს, ვიყიდოთ მხოლოდ იოდირებული მარილი. ის სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. არის სიტუაციები, როდესაც იოდი, რაღაც მიზეზების გამო, ადამიანისთვის საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია?

მაია, საჩხერე.

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი სესილი ტყემალაძე:

— ასეთ ადამიანთა რაოდენობა ძალიან ცოტაა. ამ შემთხვევაში ადამიანს შეუძლია აფთიაქში შეიძინოს არაიოდირებული მარილი ან ნატრიუმის მცირე შემცველობის მარილი (თუ, მაგალითად, ის ჰიპერტონიითაა დაავადებული). ყველა დანარჩენს მე იოდირებული მარილის გამოყენებას ძალიან ვურჩევდი. ამ მიკროელემენტის დეფიციტს თან ახლავს არა მხოლოდ ფარისებრი ჯირკვლის მოცულობის გადიდება და მისი ფუნქციების გაფართოება, არამედ ფეხმძიმობის გადაუტანლობისა და მკვდრად შობის (ქალებში), კოგნიტებული (შემეცნებითი) ფუნქციების (ბავშვებსა და მოზარდებში) რისკიც, თვით კრეტინიზმამდეც კი.

ნუ გეშინიათ ჩაყაროთ კერძში იოდირებული მარილი. იოდის დანაკარგები რომ მინიმალური იყოს, საჭმელში ჩაყარეთ მარილი მისი მომზადების ბოლოს. და დაანებეთ თავი მოწევას — ეს ამწვავებს იოდის დეფიციტს.

რამდენი ქოლესტერინია ნაჭუჭქვეშ

ჩემს ქმარს ძალიან უყვარს მოხარშული კვერცხი. მე კი მგონია, რომ ეს საზიანოა — მასში ხომ ბევრი ქოლესტერინია?

ალა, სიღნაღი

გვიპასუხებს კვების სპეციალისტი, სამედიცინო ფსიქოლოგი გიული ტაბატაძე:

— ქოლესტერინი მართლაც შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა, როგორც მინიმუმი, ვიტამინების ჯგუფისთვის — ორგანიზმის მთელი რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სისტემების ნორმალური ფუნქციონირება უიმისოდ, უბრალოდ, შეუძლებელია. ქოლესტერინი აუცილებელია, როგორც სამშენებლო მასალა უჯრედოვანი მემბრანებისთვის, საჭიროა უჯრედების დაყოფის დროს. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ორგანიზმისთვის, მათ შორის ტვინისა და ნერვული სისტემის სრულფასოვანი განვითარებისთვის, ამიტომაა დედის რძე ქოლესტერინით მდიდარი. ღვიძლში ქოლესტერინისგან სინთეზირდება ნაღვლის მჟავები, რაც აუცილებელია ცხიმების შეწოვისთვის წვრილ ნაწლავში. ქოლესტერინი ასევე არის „ნედლეული“ თირკმელზედა ჯირკვლის კანის სტეროიდული ჰორმონგების, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის სასქესო ჰორმონების (ესტეროგენებისა და ანდროგენების) წარმოებისთვის.



მამაკაცებში დიდი მიდრეკილება უქოლესტერინო პროდუქტებისადმი შეიძლება ნეგატიურად აისახოს სექსუალურ აქტიურობაზე, ქალებში კი, რომლებიც ძალიან აქტიურები არიან ქოლესტერინთან ბრძოლაში, ხშირად იწყება ამენორეა. ქოლესტერინი აუცილებელია ნორმალური საქმიანობისთვის ტვინში სეროტონინური რეცეპტორებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კარგი განწყობილებისთვის. ამიტომ ქოლესტერინის დაბალ დონეს დეპრესიას, აგრესიულ ქცევასა და სუიციდისადმი ტენდენციას უკავშირებენ. ეს განსაკუთრებით მწვავედ ხანდაზმულ ადამიანებს უვლინდებათ.

გაზომვები და გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ორგანიზმი აუცილებელი ქოლესტერინის მხოლოდ ერთ მესამედს ღებულობს საკვებთან ერთად, ორ მესამედს აწარმოებენ სხეულის უჯრედები. კვებითი, უპირატესად „კარგი“ ქოლესტერინის წყაროებად გვევლინებიან ღვიძლი, თირკმელები, ტვინი, ქონი, ყველი, მოლუსკები და ქათმის კვერცხი. მაგალითად, ქათმის ერთ კვერცხში არის ქოლესტერინის დაახლოებით 200 მილიგრამი. მაშასადამე, სულ რაღაც 3 კვერცხი თეორიულად მისი სადღეღამისო მოთხოვნას ფარავს. აი, ქათმის კვერცხში „მავნე“ ცხიმები ძალიან ცოტაა, მასობრივი წილის სულ რაღაც 2-3 პროცენტი. ამას გარდა, კვერცხებში ბევრია ფოსფოლიპიდები (ბევრი, ვიდრე სხვა პროდუქტებში) — მთელი 3,4 პროცენტი! ეს ნივთიერებანი აუცილებელია ცხიმების სწორი ათვისებისთვის და უჯრედოვანი მემბრანების ჩამოყალიბებისთვის. ასე რომ, თუ ვჭამთ კვერცხს ფანატიზმის გარეშე (უმჯობესია, თოხლოდ, 2-3-ჯერ კვირაში), ორგანიზმი მიიღებს ყოველივე აუცილებელს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობისთვის.

გვიანი ვახშამი

ბევრჯერ გამიგონია, რომ ძილის წინ არ ჭამოთო. თუ არ გაქვს მიდრეკილება სიმსუქნისკენ — შეიძლება?

მარინე, გარდაბანი

გვიპასუხებს ექიმი-ენდოკრინოლოგი ვახტანგ ბერიძე:

— მაინც არ გირჩევთ. გვიანი ვახშმები ნეგატიურ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ფიგურაზე, არამედ ნივთიერებათა ცვლაზეც. ნორმალურად ღამით ჩვენს ორგანიზმში უნდა გამომუშავდეს ზრდის ჰორმონი. ბავშვებისთვის ის აუცილებელია, რათა ისინი იზრდებოდნენ და კაჟდებოდნენ, მოზრდილებში კი ხელს უწყობს ცხიმების დაშლას.

თუ ღამისთვის ნახევრად მშიერი რჩებით, ეს არ ხდება. უფრო მეტიც, კუჭქვეშა ჯირკვალი იწყებს ინსულინის აქტიურ გამომუშავებას. ეს არ არის ფიზიოლოგიური, ამიტომ ხდება ენდოკრინული შეფერხება, იქმნება ხელსაყრელი პირობები დიაბეტის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, პანკრეატიტის განვითარებისთვის. ამიტომ ვახშმობა უმჯობესია 4 საათით ადრე დაძინებამდე. თუ ძალიან გშიათ, შეიძლება მიირთვათ უცხიმო ხორცი, თევზი, ფრინველი, მაგრამ არაუმეტეს 300 გრამისა. არ გეყოფათ? უნდა იკმაროთ.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყაფილი ვახეღებოლთან

ვანო მერაბიშვილს ადეიშვილიც ადანაშაულებს?

„ფეისბუქში“ იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის სახელით განცხადება გავრცელდა — იგი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს პატიმრების წამებასა და ლაფანყურის ამბებში ადანაშაულებს.

„მინდა, დღეს დავარღვიო დუმილი და ყველაფერი ვთქვა, რაც ხდებოდა იმ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში. დიახ, მე მინდა, ზუსტად ყველაფერი ვთქვა იმის შესახებ, რაც ვიცი ციხის ამბების შესახებ. ამ საქმეში ვანო მერაბიშვილია დამნაშავე, რომელიც მეთაურობდა ყველა იმ საშინელებას, რაც ხდებოდა იმ დროს ციხეებში, ასევე ლაფანყურის ამბებიც მაგის ერთ-ერთი საგმირო საქმეა“. ზურაბ ადეიშვილის სახელით „ფეისბუქზე“ გავრცელებული განცხადების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს მისი ადვოკატი გოჩა სვანიძე.

„ალია“

საქართველო ბავშვთა სიკვდილიანობით მეორეა ევროპაში

ეს მაჩვენებელი, სამწუხაროდ, შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე წინა წლებში.

მას შემდეგ, რაც მინისტრის ბრძანებით ყველა სამედიცინო დაწესებულებას დაევალა ბავშვის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ერთ საათში სამინისტროსთვის, მონაცემები სამ თვეში კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდა. საქართველოში ბავშვთა მაღალ სიკვდილიანობას ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელიც. იუნისეფის ინფორმაციით, საქართველო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის (16 ყოველი ათასიდან) სიდიდით მეორეა ევროპაში. ამასთან 77 ათასი ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, აქედან დაახლოებით 26 ათასი ექვს წლამდე ასაკისაა.

„ახალი თაობა“

სტუდენტების უცხოეთში სწავლას განათლების სამინისტროც დააფინანსებს

პრეზიდენტის ფონდის შემდეგ სტუდენტების უცხოეთში სწავლას განათლების სამინისტროც დააფინანსებს. უახლოეს დღეებში გიორგი მარგველაშვილის უწყება ახალ პროგრამას წარადგენს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი, თუ ვის მიეცემა უცხოეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ დროისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსურველები გასაუბრებას სპეციალურ კომისიასთან გაივლიან, რის შედეგადაც საუკეთესო სტუდენტები განათლების სამინისტროს დაფინანსებით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

როგორც კი ავტობუსში მოკლეკაბიანი და ღრმადეკოლტიანი ლამაზი გოგო ამოვიდა, ყველა მამაკაცი მას მიაშტერდა. გოგოს დაჯდომა სურდა, მაგრამ ამ დროს მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა და გოგომ, რომელიც ცდილობდა, სავარძლის საზურგეს ჩასჭიდებოდა წონასწორობის შესანარჩუნებლად, შემთხვევით ლოყაში მიარტყა ხელი გვერდით მჯდომ ახალგაზრდა მამაკაცს. გოგომ მობოდიშება დაიწყო, მაგრამ მამაკაცმა იგი ღიმილით შეაჩერა:

— ნუ ნერვიულობთ, ქალიშვილო. იმისთვის, რაც მე თქვენი დანახვისას თქვენზე გავიფიქრე, უფრო ძლიერი სილაქის ღირსიც ვარ.

— წარმოგიდგენია, ამ ნაძირალამ, მეძავი ხარო, მითხრა!

— ღმერთო ჩემო! მერე შენ რა ქენი?

— დაუყოვნებლივ გავაგდე იგი ჩემი საძინებლიდან და მისი მეგობრებიც ზედ მივაყოლე.

* * *

როცა ფუტკარი ვინმეს უკბენს, იგი კვდება. აი, ადამიანებიც, რომ ასე იყვნენ!

* * *

— რას ამბობთ! ჩვენ არასოდეს არ ვუმატებთ ძეხვში ტუალეტის ქაღალდსა და ნახერხს! ჩვენ ასეთ ძვირიან ინგრედიენტებს არ ვიყენებთ.

* * *

ბრავო, ყველასთან რა კარგად იწყება: საყვარელო, ძვირფასო... პატარავ... შე პაწაწუნა სულელო... ბრიყვო... იდიოტო... დეგენერატო... ცხოველო... ვირო...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com